საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოქდ-ეული სიფცეკაა, ფცუიოებით და ჭიერებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 25 ოქტომბერი. 2016 წ. №198 (8090), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

30 ოქტომბერს „ოცნების“ უმრავლესობას ხალხის ერთსულოვნება გადაწყვეტს!

30 ოქტომბერი ერთგვარი გამოცდა იქნება იმ ადამიანებისა, ვინც ჭეშმარიტ მოქალაქედ გრძნობს თავს და დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ უმრავლესობის შემთხვევაში ქვეყნის სწრაფ განვითარებასაც დააჩქარებს და ხალხის კეთილდღეობასაც აუცილებლად უზრუნველყოფს!

ეს დღე აშკარად გამოაჩენს თითოეული ჩვენგანის როგორც მამულიშვილობას, ისე მოქალაქეობრივ მაღალშეგნებულობას.

ოცნების ახდენას ჩვენი ერთიანობა და ერთსულოვნება სჭირდება.

დიახ ჩვენ, კეთილი მომავლისკენ მომზირალმა მამულიშვილმა მოქალაქეებმა, უნდა შევქმნათ, „ოცნების“ უმრავლესობა, რაც გააავებული ოპოზიციის დესტრუქციულ ძალებს გააუვნებელყოფს და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების საშუალებას არ მისცემს!

ასე რომ, 30 ოქტომბერს, ვისაც მართლა ბედნიერი საქართველოსთვის გვიცემს გული, ყველა ჩვენგანი გულდაჯერებული და თავდაჯერებული შემოხაზავს მხოლოდ 41-ს.

საქართველო უთუოდ ღირსია იმისა, რომ ქვეყნისთვის ჭეშმარიტად თავდადებული ხელისუფლება ერთხელ და სამუდამოდ მიეჩვიოს ხალხისთვის მიცემულ სიტყვის გაუტეხლობას.

საარჩევნო პარადოქსები 3

იიაო, უუაო, იიაო, უუაო, ბებიასთან მივდივართ!..

ტელევიზია რყვნის!

მთავარი საფრთხე სოლოკრატია და არა საკონსტიტუციო 5 უმრავლესობა!

სანამ სესხების გამცემი კერძო კომპანიების უკანონო თარეშს არ აღაგმავთ, ხალხს არაფერი ეშველება! 4

ქართულ ცეკვებს უკვე თურქებიც 12

საარსებო შემწეობის მსურველთა რიცხვმა 1 200 000-ს გადააჭარბა!

4 თვალი დაგიდგეს, სიღარიბევ!..

ოთარ მიმინოშვილი 7 დღევანდელი საქართველო დავით გურამიშვილს ჰგავს...



სიკვდილ-მოურეველი სიცოცხლე

გიორგი კვირიკაშვილი გორდონ ბირელს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შეხვედრა გამართა ბრიტანული მულტინაციონალური ნავთობისა და გაზის კომპანია BP-ის რეგიონულ პრეზიდენტთან აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში გორდონ ბირელთან. შეხვედრაზე განიხილეს პროექტები, რომლებსაც კომპანია BP-ი საქართველოში ახორციელებს. ყურადღება გამახვილდა შაჰ დენიზის მეორე ფაზის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებზე. ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტის მნიშვნელობას, რომლის მშენებლობა 2019 წლისთვის უნდა დასრულდეს. აღინიშნა, რომ გაზსადენის გაფართოებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება, ასევე, პროექტის ფარგლებში, აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის მიღებული გაზის მოცულობა საგრძნობლად გაიზრდება.

მულტინაციონალური ნავთობისა და გაზის კომპანია BP-ს მთავარი ოფისი განთავსებულია ბრიტანეთში, ქ. ლონდონში. კომპანიას აქვს წარმომადგენლობები სხვადასხვა ქვეყანაში. კომპანია BP საქართველოში 1996 წლიდან მოღვაწეობს.

უცხოელებს თბილისობა-16 მოსწონებიათ!

თბილისის მერი დავით ნარმანია ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში არად ბენკოს შეხვდა. დედაქალაქის მერიაში გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ავსტრიის დედაქალაქ ვენასა და თბილისს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე, ასევე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო თბილისსა და ავსტრიის სხვა ქალაქებს შორის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერებასა და სხვადასხვა ერთობლივი პროგრამის განხორციელებას.

დავით ნარმანიამ იმედი გამოთქვა, რომ თბილისში ავსტრიის საელჩოს გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არსებული ინტენსიური ორმხრივი ურთიერთობების, მათ შორის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას.

თავის მხრივ, არად ბენკომ გამოთქვა მზაობა, რომ მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ორი ქვეყნის ქალაქებს შორის არსებული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

შეხვედრის დასასრულ, ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით ნარმანიას თბილისობა 2016-ის წარმატებით განხორციელება მიულოცა და აღნიშნა, რომ სახალხო დღესასწაულმა უცხო ქვეყნის დელეგაციების მოწონება დაიმსახურა.

ავსტრიის საელჩო თბილისში მიმდინარე წლის სექტემბერში გაიხსნა.

მივმართავთ ყველა მსხვერპლს, ოჯახში ძალადობას ნუ შეუშინდებით!

შს მინისტრის ინიციატივით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო და ის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს შს სამინისტროს ხელშეწყობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ფარგლებში ხორციელდება.

„ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ რჩება შსს-ს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ძალზე მგრძნობიარე პრობლემის დასაძლევად, იმისთვის, რომ პოლიციელმა შეძლოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესრულება, აუცილებელია თავად ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეების თანადგომა, მხარდაჭერა და თანამშრომლობა. მივმართავთ ყველა მსხვერპლს, არ გავუჩუმდეთ ოჯახში ძალადობას, ნუ შეშინდებით მთელი ჩვენი უწყება, 40 000 ადამიანი თქვენ გვერდით ვართ იმისთვის, რომ დაგიცვათ“, — განაცხადა შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა კამპანიის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას.

დავით სერგეენკო:

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტი გაგრძელდება იქამდე, სანამ ბოლო პაციენტი არ იმკურნალებს

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვნად იზრდება იმ პაციენტების რაოდენობა, რომელთაც ეძლევათ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა, — განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

„პროექტი გაგრძელდება იქამდე, სანამ ბოლო პაციენტი არ იმკურნალებს. ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ ჩართულობის კრიტერიუმი მოგვეხსნა და ნებისმიერს, ვინც გაივლის შესაბამის კვლევებს, მიიღოს ეს მკურნალობა. შედარებისთვის, თუ შარშან თვის განმავლობაში პროექტში შეგვეძლო 700-800 პაციენტის ჩართვა, დღეს ავედით 5000-ზე და ეს ბოლო არ არის“, —განაცხადა სერგეენკომ.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა.

„მადლობას ვუხდი ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს. ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და ვფიქრობ, ეს ორი სამუშაო დღე მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს, როგორ გავაუმჯობესოთ კიდევ უფრო ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი პროექტი“, — აღნიშნა მინისტრმა.

თავდაცვის სამინისტროს განცხადება

„წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრის „კრწანისის“ ტერიტორიაზე უცხო პირების შეჭრის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი: 2016 წლის 23 ოქტომბერს, წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრის დაცვის ასეულის ვადიანი სამხედრო მოსამსახურე ავტოპარკის ტერიტორიაზე იმყოფებოდა სადღეღამისო განწესში. დაახლოებით 03:30 საათზე, მან დასაცავ ტერიტორიაზე შენიშნა უცხო პირები, რომლებსაც სიტყვიერი გაფრთხილება მისცა, მაგრამ ბაზაზე უკანონოდ შეჭრილი პირები არ დაემორჩილნენ გუშაგის კანონიერ მოთხოვნას და მის მიმართ განახორციელეს თავდასხმა, კერძოდ, ესროლეს ცეცხლმაქრი. მიუხედავად განხორციელებული თავდასხმისა, გუშაგმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მოახდინა გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში. რამდენადაც თავდამსხმელთა მიერ გუშაგის მიმართ აგრესია იყო მაღალი რისკის და საფრთხის მქონე, ამასთან, ისინი არ დაემორჩილნენ გუშაგის კანონიერ მოთხოვნას, მან იმოქმედა წესდების შესაბამისად და მათი მიმართულებით ისროლა, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა სამხედრო ობიექტზე შემოვლებული მავთულბადე გადალახეს და მიიმალნენ.

სამხედრო პოლიციის მისვლის შემდეგ, ტერიტორიის დათვალიერებისას, შემთხვევის ადგილიდან 97 მეტრში, აღმოჩენილი იქნა უცნობი მამაკაცის გვამი, რომელიც ამ დროისთვის უკვე იდენტიფიცირებულია. 1993 წელს დაბადებული გ.შ. ერთ-ერთი თავდამსხმელია იმ სამიდან, ვინც 23 ოქტომბერს სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ დროისთვის მუშაობა დანარჩენი ორი პირის დადგენაზე მიმდინარეობს.

გამოძიების მიერ, ექსპერტ-კრიმინალისტების მონაწილეობით დათვალიერდა როგორც შემთხვევის, ისე გვამის აღმოჩენის ადგილები, საიდანაც ამოღებული იქნა „SAMSUNG“-ის მარკის მობილური ტელეფონი, ღამის მაშუქი ფანარი, პისტოლეტი, 5 ერთეული აკ-74“ მოდიფიკაციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მასრა და სხვა საგნები, რომლებიც დაილუქა და შემდგომი კვლევებისათვის გადაიგზავნა შესაბამის ექსპერტიზებზე. ასევე, დანიშნულია და ტარდება სასამართლო-სამედიცინო, ბალისტიკური, დაქტილოსკოპიური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა. შესაბამისი კვლევებისთვის გარდაცვლილისგან აღებულია დაქტილოსკოპიური ნიმუშები. საქმეზე ტარდება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

საქმეს მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს. გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს“, — ნათქვამია განცხადებაში.

მოკლული გიგა შენგელიას ნათესავები ალტერნატიულ ექსპერტიზას გეგმავენ

პირი, რომელიც „კრწანისის“ ტერიტორიაზე შეჭრის მცდელობისას იქნა ლიკვიდირებული, იდენტიფიცირებულია და ის 1993 წელს დაბადებული გიგა შენგელიაა. გიგა შენგელია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრია. მისი ოჯახი ენგურქალალდკომბინატის დასახლებაში ცხოვრობს.

გარდაცვლილის დედა ელზა შენგელია დარწმუნებულია, რომ მის შვილს იარაღი არ ექნებოდა.

„ქათმის დაკვლის რომ ეშინოდა, ისეთ კაცს რა იარაღი უნდა ჰქონოდა? ჩემს მეორე შვილს ველაპარაკე, ვიღაც გოგოსთან შესახვედრად წავიდაო და მალე დაგელაპარაკებაო, ნუ გეშინიაო. სამხედროში რა უნდოდა? — არანაირი ვერსია არ გვაქვს. ან ის გუშაგი ვინ იდგა? - ისე დაეჭირათ, ციხეში ჩაესვათ“, — განაცხადა ელზა შენგელიამ.

გარდაცვლილის ნათესავის ციცო ბასილაიას ინფორმაციით, კი გიგა შენგელიას ძმა კრწანისის ბაზაზე მსახურობდა. გარდაცვლილის ოჯახს გავრცელებული ვერსიის არ სჯერა და ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავს.

„უაღრესად პატიოსანი ბავშვი იყო, სხვა დამატებით არანაირი ინფორმაცია არ ვიცით. იარაღი არასდროს ჰქონია. „კრწანისში“ მისი ძმა მსახურობდა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა. გავრცელებული ვერსიის არ გვჯერა და ვაპირებთ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას“, — განაცხადა ციცო ბასილაიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, იმ ორი პირიდან, რომელმაც გუშაგის მიერ ცეცხლის გახსნის შემდეგ გაქცევა მოახერხა, ერთ-ერთი სწორედ გარდაცვლილი შენგელიას ძმაა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დავით რაქვიაშვილი დაინიშნა. **დავით რაქვიაშვილი 1985-1992 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, პროფესიით გეოლოგი.**

დავით რაქვიაშვილს აქვს არასამთავრობო და საჯარო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

2008-2010 წლებში იყო რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. აღნიშნული რანგით დავით რაქვიაშვილი მონაწილეობდა ე.წ. ჟენევის დისკუსიებში, ინციდენტებზე რეაგირების და პრევენციის მექანიზმის მუშაობაში. თანამშრომლობდა საქართველო-აშშ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის სამუშაო ჯგუფს.

დავით რაქვიაშვილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია

2011-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს დესპანად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საელჩოს პოლიტიკური და ეკონომიკური დეპარტამენტების ზედამხედველობა და კოორდინაცია ებარა.

მრავალი წლის განმავლობაში ინსტიტუციურად ავითარებდა სათავგადასავლო ტურიზმს. დღემდე ხელმძღვანელობს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას.

2000 წლიდან დღემდე არის სამთო გამყოლთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი. დავით რაქვიაშვილი ასევე არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თანადამფუძნებელი და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეთვალყურეო საბჭოს.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

იიაო, უუაო, იიაო, უუაო, ბებიასთან მივდივართ!..

2016 წლის ოქტომბერმა ბოლო 4 წლის ყველა ოქტომბერს გადაუჯოკრა.

რვაში რომ დაიწყო გულისხეთქვები, ოცდაორშიც გაგრძელდა მცირე დოზით, ოცდაათში კი წინაინფარქტულ მდგომარეობას მიაღწევს.

თუმცა ეს ექსტრემალური მდგომარეობა იქნება არჩევნების არა ყველა მონაწილისთვის. ნაწილი (უმეტესი ნაწილი) საბოლოოდ დაიმშვიდებს ნერვებს და საქმეს შეუდგება, მშვიდად და წყნარად.

აი მეორე, უმცირესი ნაწილი, წაგებული და თავგადახურებული, იმ სათადარიგო გეგმის აღსრულებას შეებმება, თუ როგორ მოუწამლოს ქვეყანას ცხოვრება უახლოესი 4 წლის განმავლობაში.

ამას ის ხილვები მაგუმანებს, რომლებიც ჯიხაშკარიდან და ყიზილაჯლოდან ტელერეპორტაჟების გადმოცემისას ვიხილე.

პირველი თეთრპერანგიანი ნიკა მელია გახლდათ, რომელიც თეთრი კამეჩივით დააბოტებდა ჯიხაშკარში და შხამიანი პროვოკაციებით იცოხნებოდა.

მეორე კი გიორგი კანდელაკი იყო, რომელსაც ფრთამოტეხილი ვარიას მომლოდინე ტურასავით გამოეყო თავი ბრბოდან, რომელსაც ნაციონალთა კანდიდატი ახმედ იმამყულიევი მგზნებარედ უანონსებდა თავის გამარჯვებას. თუმცა ამ ოპტიმისტი ახმედას გამარჯვებამდე ერთი კვირის შემდგომი განმეორებითი არჩევნები (II ტური) და მხოლოდ 58-ით მეტი ხმის მოგროვებაა, რაც იმის აუცილებელ პირობას არ იძლევა, რომ გადახტომამდე „ჰოპ!“ იძახო.

ამრიგად, 22 ოქტომბერს ჯიხაშკარსა (ზუგდიდი) და ყიზილაჯლოში (მარნეული) საქართველოს პარლამენტის განმეორებითი არჩევნები გაიმართა 8 ოქტომბერს ხმაურით, ჰაი-ჰუით, ქვების სროლით ჩაშლილის ნაცვლად.

ჯიხაშკარი და ყიზილაჯლო ჩვენი გაჭიანურებული საპარლამენტო არჩევნების სასინჯ ქვად იქცა. ეს ის უბნებია, რომლებსაც 8 ოქტომბერს, ფაქტობრივად, ხმების დათვლა არ აცალეს, ანუ რაც შედგა, ის გაუქმდა და ხელახლა მოეწყო.

წინდაწინვე ვთქვათ: 22 ოქტომბერი ისევე არ ჰგავდა 8 ოქტომბერს, როგორც ხისთავიანი ნუგზარ წიკლაური არ ჰგავს გამწლეულ მატყუარას ირაკლი აბესაძეს.

22 ოქტომბერმა ექსცესების გარეშე ჩაიარა, შედარებით უხმაუროდ და უქვისსროლიოდ.

ამ დღის მთელი ინტრიგა ის იყო, რომ ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ ჯიხაშკარში ედიშერ თოლორაია („ქართული ოცნება“) და სანდრა ელისაბედ რულოვსი (ნაციონალური მოძრაობა), და ყიზილაჯლოში თამაზ ნავერიანი („ქართული ოცნება“) და ახმედ იმამაყულიევი (ნაციონალური მოძრაობა).

დათვლამ უჩვენა, რომ თოლორაია ორჯერ უგებდა რულოვსს — 981 ხმით 438-ის წინააღმდეგ (8-შიც მოუგო), თუმცა ასეთი შთამბეჭდავი განსხვავება მაინც არ იძლევა საბოლოო გამარჯვებას (ხმების 50 პროცენტი +1), მაინც II ტურს მოითხოვს.

აი, „ემიგრანტმა“ სააკაშვილმა კი „ტოლერანტული“ და „სწორი“ დაიჭირა ოდესიდან: სანდრა დამოუკიდებელი პიროვნებაა და ისე მოიქცა, როგორც მას მიაჩნია სწორად, ვის შეუძლია რამე დააძალოსო.

ჰო, ჰო, ჰო, რა ხარ მიშა!

აი იმამყულიევი კი სხვაგვარ ტაქტიკას ადგას. იგი ყველაფერს კადრულობს გასამარჯვებლად, ყველა აკრძალულ თუ ნებადართულ წესს და მეთოდს იყენებს, იქ ფსევდოეროვნული, რელიგიური და სხვა შხამიანი თესლიც იბნევა საარჩევნო ხნულში.

და აი, არჩევნების მეორე დღეს რულოვსმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: მეორე ტურში მონაწილეობას არ მივიღებ, ჩემს მიმართ ეს უსამართლობა იქნება. მე პირველივე ტურში გავიმარჯვე, მაგრამ გამარჯვება წამართვეს. ამიტომ მეორე ტურში მონაწილეობას აზრი არა აქვსო.

რა თქმა უნდა, ეს მოულოდნელობა რულოვს-სააკაშვილისგან არ მოდის, ნაცების სტრატეგიის გამონათეაა: ნაცების ხელმძღვანელობამ (უგიგაბოკერიოდ ეს საქმე არ იქნებოდა) სწორად იანგარიშა, რომ სანდრას მაჟორიტარობა არც მეორე და არც მეექვსე ტურში არ იქნებოდა, როგორც ვთქვით, ისე დამაჯერებლად მოუგო თოლორაიამ უკვე მეორედ. ამიტომ უმჯობესად მიიჩნიეს, სანდრას უკვე ისედაც წაგებული ლაზიერი შეეწირა და პარტია მოეგო — პარლამენტში სიით ისედაც უკვე შესული სანდრასთვის მხრებზე დაჩაგრულის მანტია მოესხათ და მთელი ოთხი წელი დაუსრულებლად წამოეყვედრებინათ ხელისუფლებისთვის, ზუგდიდი კი წამებულს ხელში სჭეროდა, რაც ოვაციებს არ მიაკლებს, როცა იქაურებს მეგრულად მიესალმება ხოლმე. სანდრა-ელისაბედი ბიულეტენებში კი იქნება შეტანილი, მაგრამ არ „იმუშავებს“.

ეს კი ასეა, მაგრამ ნაცებმა სანდრას „შეუთანხმებელი“ და „მოულოდნელი“ საქციელის გამო დიდი „აღშფოთება“ გამოხატეს, მთელი ჯგუფი უმალ გამოვარდა ეკრანზე და პროტესტი გამოთქვა, ეს რა გაგვიკეთა ამ ქალმაო, მეორე ტურის იმედები და გათვლები წყალში ჩაგვიყარაო.

აი, „ემიგრანტმა“ სააკაშვილმა კი „ტოლერანტული“ და „სწორი“ დაიჭირა ოდესიდან: სანდრა დამოუკიდებელი პიროვნებაა და ისე მოიქცა, როგორც მას მიაჩნია სწორად, ვის შეუძლია რამე დააძალოსო.

ჰო, ჰო, ჰო, რა ხარ მიშა!

აი იმამყულიევი კი სხვაგვარ ტაქტიკას ადგას. იგი ყველაფერს კადრულობს გასამარჯვებლად, ყველა აკრძალულ თუ ნებადართულ წესს და მეთოდს იყენებს, იქ ფსევდოეროვნული, რელიგიური და სხვა შხამიანი თესლიც იბნევა საარჩევნო ხნულში.

მან პირდაპირ ფარივით აიფარა მის მიერ იმ დღეს შეგროვებული 381 ხმა ნავერიანის 318 ხმის წინააღმდეგ და კვირის შემდეგ გასამართ II ტურში უკვე გამარჯვებულივით დააბიჯებს ყიზილაჯლოში მეზობლის პატარა ბიჭებით გარშემორტყმული.

მისმა თავდაჯერებულმა, ტრიუმფალურმა სვლებმა ათქმევინა ბოკერია-მიშა II-ს ნატვრითა და თვალების ლულვით, ნეტა მთელი საქართველო ყიზილაჯლო იყოსო!

თუმცა ამ სოფლის ნაცების მხარდამჭერთ არ გაუვიდათ პირველი ტურისეული ოინები: მათ პროვოკაციების მოწყობის საშუალება არ მისცეს. რაც შეეხება ყელყელაობას, ეს 1 ნოემბერს უფრო უპრიანი იქნება, როცა II ტურის შედეგები დაითვლება და მოვლენები ისე წარიმართება, როგორც სიმღერაშია: „იიაო, უუაო, იიაო, უუაო, ბებიასთან მიდივართ!..“

სანდრო ალექსიძე

სანდრა, იგივე სონია

სავსებით ლოგიკური კითხვა დასვა სოციალურ ქსელში **ვასილ მაღლაფერიძემ**: თვითონ ჰოლანდიის მოქალაქეა, ქმარი — უკრაინის, რა ესაქმება **სანდრა რულოვსს** სამეგრელოში?

ერთ-ერთი მოქალაქე არ დაეთანხმა და კონტრარგუმენტად ის ფაქტი მოუყვანა, რომ სონია განდიც არ იყო ინდოელი, იტალიელი ბრძანდებოდა.

რას ნიშნავს არაინფორმირებულობა ?! იმ მოქალაქემ, უეჭველია, არ იცის ის, რაც კარგა ხნის წინათ მთელმა მსოფლიომ შეიტყო — საბჭოთა მთავრობამ ათეულობით მილიონი დახარჯა რაჯივ განდისთვის ისეთი უცხოელი საცოლის გამოსაზრდელად, კაგებესგან ადვილად სამართავი რომ იქნებოდა.

ეს აღიარებული ფაქტია და არც ის არის ზღაპარი, რასაც თემურ შაშიაშვილს ჯიუტად არ ვუჯერებდით: როგორ ჩამოიყვანეს სანდრა, როგორ ასწავლეს ქართული, როგორ აამღერეს მეგრულად...

კაგებეს ხელწერა აქაც შავბნელად ნათელია!

ასე რომ, სონია განდის მაგალითი სანდრა სააკაშვილის საწინააღმდეგოდ თუ გამოდგება — ორმაგ აგენტს შემთხვევით ხომ არ უწოდებენ?!

კაცმა არ იცის, ჯერ კიდევ როგორ გამოიყენებენ და ვისი ვარაუდები უფრო გამართლდება — ხათუნა ხოფერიასი თუ ლალი მოროშკინასი...

ტელევიზია რყვნის?! ...და ბუს ბახალებს?!

„წინათ ადამიანებს აწამებდნენ. ახლა მათ პრესას აწვდიან. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ, სამაგიეროდ, პრესა რყვნის.“ — ეს **ოსკარ უაილდის** აზრია.

ტელევიზიას რომ მოსწრებოდა, ამას მით უფრო იტყოდა.

არც ყველა გაზეთს იგულისხმებდა და არც ყველა ტელეარხს.

დღეს ძალაუფლებაზე ცნობილი გამონათქვამიც შეგვიძლია, ასე გარდავთქვათ: **„ტელევიზია რყვნის, „რუსთავი-2“ კი აბსოლუტურად რყვნის!“**

არგუმენტების მოძიება ნამდვილად არ გაგვიჭირდება:

საკმარისია, შევხედოთ ვანოსა და კომედიშოუებს, „ჩემი ცოლის დაქალებს“, გაბუნიას „ნაცრჩევანს“, ასათიანის „პროფილს“, დიკოსა და ზალიკოს „კურიერს“...

ამ უკანასკნელზე ვთქვათ, „კურიერზე“ .

სულ ორიოდე დღის წინანდელი მაგალითი — როგორ გვიმტკიცებდნენ, 8 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმაცია ენდიაიმ ეჭვქვეშ დააყენაო.

გამოვიდა ინსტიტუტის ხელმძღვანელი და განაცხადა, ასეთი რამ არც გვითქვამს და არც დაგვიწერიაო(?!)...

ეს — პოლიტიკური გარყვნილების ერთი ნიმუში.

ზნეობრივი გარყვნილების მაგალითებს რა ჩამოთვლის.

თუმცა, ესენი რამ გაყო?!

მაგალითად, რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ის ფაქტი, ვანუას შოუში ყალბად გადაფიჩინებული გვარამია (გენდირექტორი!) ტახტზე რომ კოტრიალობს და ფეხებს მაღლა იშვერს?

გარყვნილება გარყვნილებაა...

რა დაუნდობელია ცხოვრება, განსაკუთრებით პოლიტიკური.

ხომ გვახსოვს ,,თავისუფალი დემოკრატების“ წინასაარჩევნო ლოზუნგი, რომელიც თბილისის ქუჩებში უზარმაზარ ბანერებზე ეწერა: **„უკეთესი ეკონომიკა, უკეთესი ცხოვრება.“**

ამ ლოზუნგს არავინ დაუჯერა და „თავდემებმა“ (გვარამია, მოფერებით, ასე მოიხსენიებს) ბარიერი ვერ გადალახეს.

იმ ბანერებზე, რომლებიდანაც **ირაკლი ალასანია** და მისი თანაგუნდელები (სათითაოდ) შემოგვცქეროდნენ, ახლა საბავშვო შოკოლადის რეკლამა განათავსეს, ასეთი ტექსტით: **„პატარა ტოროლებს და ბუს ბახალებს.“**

არ ვიცი, უყვართ თუ არა „თავისუფალ დემოკრატებს“ „ქინდერშოკოლადი“, იმას კი ამბობენ, ხსენებული პარტიიდან გასულ ლიდერებს, შესაძლოა, მაღალი თანამდებობები ჩამოურიგონო.

მართალია, **უკეთესი ეკონომიკა** ვერ შექმნეს, მაგრამ **კარგი ცხოვრება** ხომ მაინც უნდათ(?!)...

იოსებ ჭუმბურიძე

სანამ სესხების გამცემი კერძო კომპანიების უკანონო თარეშს არ ალაგმავთ, ხალხს არაფერი ეშველება!

მიკროსაფინანსოებისა და ონლაინსესხების გამცემი კომპანიებისთვის ამოუდებელი ლაგამი დღითი დღე აზარალებს ჩვენს მოსახლეობას. ბოლო ხანებში ეს ორგანიზაციები კლიენტის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ერთვებიან და გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ სასამართლოს. ისინი პრობლემურ მსესხებლებთან მიმართებით კოლოსალური თანხის გადახდას ითხოვენ. ასე რომ, ონლაინრეჟიმში წამიერად აღებული სესხი, შესაძლოა, სამმაგი, ხუთმაგი და უფრო მეტიც დაუჯდეს მსესხებელს.

როგორ დაიცვან თავი ჩვენმა მოქალაქეებმა ონლაინსესხების კომპანიების შეიმოტევისაგან?! ამის შესახებ„ახალგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ (აფბას) ანალიტიკოსი ზურაბ კუკულაძე გვესაუბრება.

— ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობა აპროტესტებდეს, როცა 200-ლარიანი სესხის ნაცვლად დაგვიანების გამო 600-დან 2000 ლარამდე თანხას ახდევინებენ, მიკროსაფინანსოები თავად უჩივიან კლიენტებს და სასამართლოებს ხშირად მიმართავენ. ეს ხომ მომხმარებლის მოტყუებაა, რადგან ასეთი მაღალი პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდას არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს?!

— სწრაფი ონლაინსესხების ორგანიზაციების რეგულაციებს ზუსტად იმიტომ ვითხოვთ, რომ პროცესი გამჭვირვალე გახდეს. რეალურად, ეს კომპანიები ყიდიან საფინანსო პროდუქტებს. სხვა შემთხვევაში, ამ სისტემის რეგულატორი თუ არის ეროვნული ბანკი, ამ შემთხვევაშიც, ეროვნული ბანკის რეგულაციას უნდა დაემორჩილონ სწრაფი ონლაინსესხების გამცემი კომპანიებიც. რეგულაციების პირობების თანახმად, უკვე შესაძლებელი გახდება სესხის გაცემის მთელი პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა. თქვენ გაინტერესებთ, ეს კომპანიები პირიქით რატომ უჩივიან მომხმარებელს? ერთი მხრივ, თუ სესხს არ დააბრუნებს მოქალაქე, ბუნებრივია, მას ამის გადახდის ვალდებულება უნდა დაეკისროს, თუმცა აქ საინტერესოა, რა რაოდენობით სესხს აბრუნებინებენ ადამიანს.

— ონლაინსესხების მიერ დაწესებული სესხები და პირგასამტეხლოები ბევრად აღემატება კანონით დადგენილ პროცენტს. საქართველოს კანონმდებლობით, დაუშვებელია, სესხის წლიური პროცენტი 100%-ს გაუტოლდეს.

— აქ ორი მომენტია, ერთი, თვითონ ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციების საკომისიოები და, მეორე, პრობლემური სესხების შემთხვევაში, სესხების ამომღები კომპანიების მიერ დაკისრებული ჯარიმები თუ სხვადასხვა სახის პირგასამტეხლოები. მე ვფიქრობ, რომ მეორე ნაწილში გაცილებით მეტი პრობლემებია, ვიდრე პირველ ნაწილში, რადგან, თუ ონლაინსესხების გამცემი კომპანიების მიერ დაკისრებული საკომისიოს შესახებ მომხმარებელს სესხის აღებისას უკვე აქვს ინფორმაცია, მას ასეთი ინფორმაცია არა აქვს, როდესაც ეს სესხი გადადის სესხების ამომღები კომპანიების განკარგულების ქვეშ. ამიტომ საკითხი უნდა გავყოთ ორად — რა პრინციპით აკისრებს ონლაინსაკრედიტო ორგანიზაცია პირგასამტეხლოს პრობლემურ კლიენტს და რა პრინციპით აკისრებენ პირგასამტეხლოსა და სხვადასხვა სახის საკომისიოებს სესხების ამომღები კომპანიები?! მათი სესხის ამოღების მეთოდოლოგია უხეში და, ხშირ შემთხვევაში, კანონსაწინააღმდეგოა. ამიტომ კლიენტი და პრობლემური მსესხებელი დაუცველია ასეთ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

— რამდენად მაღალია სესხების ამომღები კომპანიების მიერ დაკისრებული პროცენტები?

— საპროცენტო განაკვეთი ამომღებ კომპანიებს არა აქვთ. საპროცენტო განაკვეთი აქვს სესხების გამცემ კომპანიებს. თუ სესხი პრობლემური გახდა, ორი თვის შემდეგ წყდება საკომისიოს დარიცხვა და სესხი გადადის უკვე ამომღებ კომპანიაში, რომელიც ნამდვილად გაურკვეველი, უაზრო და არალოგიკური პრინციპით აკისრებს მსესხებელს საკომისიოს და სხვა თანხებს. ზუსტად ეს არის პრობლემა, რომ არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში, რა რაოდენობით თანხა ეკისრება კლიენტს. თუ კლიენტი კარგად დაიცავს თავს და მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულია, ბუნებრივია, მას ნაკლებ ჯარიმას დააკისრებენ.

— ანუ მსესხებელმა ადვოკატი უნდა იახლოს?

— ზუსტად ამის თქმა მსურს. მინდა, მოვუწოდო მოსახლეობას, რომ სესხების ამომღებ კომპანიებთან ურთიერთობისას აუცილებლად გამოიყენონ კვალიფიციური მრჩეველის, თუნდაც იურისტის ან ფინანსისტის დახმარება. მსესხებლებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რაში გადაუხდიან ამომღებ კომპანიებს თანხებს. სასამართლოში სესხის წაღება ერთ-ერთ გამოსავლად მიმაჩნია ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, რადგან სასამართლო რასაც დააკისრებს მსესხებელს, ის საბოლოოა და დამატებითი ჯარიმები და სანქციები მას აღარ დაეკისრება. ამიტომ ნუ შეეშინდებათ სასამართლოსი და, ამ შემთხვევაში, პროცესი გადავა ცივილიზებულ გარემოში.

— მაგრამ ნაცმოძრაობიდან მოყოლებული, ამ სასამართლოებში მისვლის გამოცდილება ხომ არ გვკარნახობს, რომ შესაძლოა, მიკროსაფინანსოებისა და ონლაინსესხების კომპანიებმა მოსამართლეები მოისყიდონ?

— ამ ტიპის მსესხებლებთან ჩემი ურთიერთობიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სასამართლო სისტემაში მომხმარებელი გაცილებით დაცულია, ვიდრე სასამართლოსგან თავის აცილების შემთხვევაში. თანაც, აქ არ არის იმხელა თანხებზე საუბარი, რომ მოსამართლის მოსყიდვა გახდეს საჭირო. არც ერთი მოსამართლე არ დადებს თავის კარიერას სასწორზე, რაღაც 1500-ლარიანი ჯარიმის ან საპროცენტო განაკვეთის შემცირების აწევ-დაწევის გამო.

— რამდენად ცდილობს ჩვენი მოსახლეობა, თავისი უფლებები დაიცვას და შეიტანოს სარჩელები, როდესაც ასეთი დიდი თანხის გადახდაზეა საუბარი, რაც არაკონსტიტუციურია?

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მოსახლეობის მთავარი პრობლემა საფინანსო პროდუქტების მოხმარების ნაკლები კულტურაა. საზოგადოების ფართო მასებმა არ იციან ამ ტიპის პროდუქტების მოხმარება, ასევე, არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ, რაც მათ საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობისას გააჩნიათ. ეს მარტო ონლაინსესხებს არ ეხება, არამედ — ბანკებსა და სხვა ტიპის საფინანსოებსაც. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს როლი ზუსტად ფინანსური პროდუქტების მოხმარების კულტურის ამაღლება უნდა იყოს ჩვენს მოსახლეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას შეექმნება პრობლემები, რადგან ვიღაცას მიზანმიმართულად აწყობს ეს პროცესი და იმის ხარჯზე შოულობს ფულს, რომ მომხმარებელმა არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

თვალი დაგიდგეს, სიღარიბევ!..

საარსებო შემწეობის მსურველთა რიცხვმა 1 200 000-ს გადააჭარბა!

თუკი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს დავეყრდნობით, 2015 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 10,1% ირიცხებოდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წლის სექტემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღებთა სია 480 ათასზე მეტ პირს ითვლიდა და ეს პირები 145 900-ზე მეტ ოჯახს წარმოადგენენ. საარსებო შემწეობების მიღების რაოდენობა ყოველთვიურად იცვლება — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ **ტატა გამყრელიძე** — სოციალური მომსახურების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი და ქულების მიხედვით შემწეობის გამოთვლის ამჟამად მოქმედ მექანიზმზე ლაპარაკობს. მისი განმარტებით, სოციალური აგენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ბენეფიციარებთან, რომელთა ქონებისა და შემოსავლების შესაფასებლად სპეციალური კითხვარის შევსებაა საჭირო. შემწეობის მასშტაბი ქულების მიხედვით გამოითვლება:

„30 ათასი ქულის ქვემოთ ოჯახის თითოეული წევრი იღებს 60 ლარს; 30-დან 57 ათას ქულამდე ოჯახის თითოეული წევრი იღებს 50 ლარს; 57-დან 60 ათას ქულამდე ოჯახის თითოეული წევრი იღებს 40 ლარს; 60-დან 65 ათას ქულამდე ოჯახის თითოეული წევრი იღებს 30 ლარს. 65 ათასი ქულის ზემოთ აღარ გაიცემა საარსებო შემწეობა. თუმცა, 65-დან 100 ათას ქულამდე ვისაც აქვს და ბავშვები ჰყავთ ოჯახში, ისინი იღებენ თითოეულ ბავშვზე 10-ლარიან დანამატს“.

სოციალური მომსახურების სააგენტოში არ იზიარებენ ოპონენტთა კრიტიკას იმის თაობაზე, რომ ამჟამად უსამართლოდ ხდება ქულების გამოანგარიშება ამა თუ იმ პირისთვის საარსებო შემწეობის მისანიჭებლად. როგორც ტატა გამყრელიძე ეუბნება „რადიო თავისუფლებას“, მთელი სისტემა და მეთოდოლოგია მოწოდებულია, რომ რაც შეიძლება სამართლიანად განისაზღვროს შემწეობათა მოცულობა ამა თუ იმ პირისა თუ ოჯახისთვის. ამჟამად საარსებო შემწეობის მსურველთა ნუსხა 1 200 000-ზე მეტ ადამიანს ითვლის.

„სახელმწიფო ვერ გასწვდება ყველა იმ ოჯახს, რომელიც თავს გაჭირვებულად თვლის, ამიტომ, ვთქვათ, თუ ორ გაჭირვებულ ოჯახზე ვლაპარაკობთ, სახელმწიფოს მიზანია — დაეხმაროს იმ ოჯახს, რომელსაც უფრო სჭირდება დახმარება იმისათვის, რომ იარსებოს“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ სოციალური მომსახურების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ტატა გამყრელიძე.

ქვეყანაში, სადაც საშუალო ფენა განუვითარებელია, დახმარების მთხოვნელთა მაღალი მაჩვენებელი არ უკვირს გაზეთ „რეზონანსის“ ეკონომიკური დამატების მთავარ რედაქტორ **ზვიად შვანგირაძეს.** მიზეზებზე მან „რადიო თავისუფლების“ გადაცემა „დილის საუბრებში“ სტუმრობისას ისაუბრა და საკითხი ლარის გაუფასურების ჭრილშიც განიხილა:

2015-2016 წლებში ლარის დევალვაციამ ძალიან რთულ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობის დიდი ნაწილი, რადგანაც ამ ოჯახების ძირითადი ნაწილის შემოსავალი ემსახურება ვალს, სესხს, რომელიც მათ აქვთ გამოტანილი უცხოურ ვალუტაში... უმეტესად ასეა. 70%-ია დოლარიზაციის კოეფიციენტი ქვეყანაში. ბოლო ორ წელიწადში მათ, პრაქტიკულად, თანხა აღარ რჩებათ იმისათვის, რომ, დავუშვათ, იკვებონ ნორმალურად, განათლება მიიღონ, მომსახურება მიიღონ — სხვადასხვა სერვისით ისარგებლონ. და ეს ადამიანები, როგორც ჩანს, ასე მალე ვერც გამოვლენ ამ სიტუაციიდან, რადგანაც, ჯერჯერობით, არც ლარის კურსის დასტაბილურების პირობები ჩანს და არც მათი შემოსავლების მატებაა ისეთი, რომ ამ ყველაფერს გაუძლონ“.

როგორც უკვე ვთქვით, ბოლო მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 10,1 პროცენტი ირიცხება. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი **ანდრია გვიდიანი** საკითხს მოსახლეობის აღწერის ახალი მონაცემების კონტექსტში განიხილავს და „რადიო თავისუფლებასთან“ — ღარიბთა რიცხვის კლების ტენდენციაზე ლაპარაკობს. ეკონომიკის საკითხების ექსპერტი ასეთი ტენდენციის საკარაუდო მიზეზებზეც ამახვილებს ყურადღებას:

„ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. ბოლო 4 წელიწადში კერძო სექტორში შეიქმნა დამატებით 55 ათასი სამუშაო ადგილი და ეს, ცხადია, პირდაპირ გავლენას ახდენს სიღარიბის აღმოფხვრაზე. გარდა ამისა, ბოლო წლების ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტია და ეს ცალკე ფაქტორია იმისთვის, რომ მოსახლეობაში შემცირდეს სიღარიბის დონე. ასევე, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას აქვს ე.წ. ინკლუზიური ეკონომიკის გატარების პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად ბევრ ადამიანს ჰქონდეს წვდომა იმ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და პრეფერენციებზე, რაც, ზოგადად, არსებობს ქვეყანაში“.

რაც შეეხება საარსებო შემწეობას, ანდრია გვიდიანი, მემარჯვენე ხედვების გათვალისწინებით, არ ემხრობა საარსებო შემწეობის ბენეფიციართა რიცხვის ზრდის იდეას, რადგანაც ეს აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას და, ზოგადად, ქვეყნის განვითარების შეფერხებას. ეკონომისტის განმარტებით, სიღარიბესთან ბრძოლის მთავარ იარაღს წარმოადგენს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც რეალურად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ლელა კუნჭულია

მთავარი საფრთხე სოლოკრატიაა და არა საკონსტიტუციო უმრავლესობა!

საქართველოში 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სრული შედეგები ცნობილი 30 ოქტომბერს გახდება, როდესაც არჩევნების მეორე ტური ჩატარდება.

უკვე ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნება“ უმრავლესობაშია და ამასთან მას აქვს დიდი შანსი, მოიპოვოს საკონსტიტუციო უმრავლესობაც, ანუ საპარლამენტო მანდატების 3/4.

უკვე მიმდინარეობს დებატები საკონსტიტუციო უმრავლესობისა და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ.

ეს საკითხი აქტუალური გახდა სიტუაციიდან გამომდინარე — **მიზანი არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებაა!**

ამ დებატებით ორივე ძირითადი პარტია — **„ქართული ოცნებაც“** და **„ნაციონალური მოძრაობაც“** თავს არიდებენ წინასაარჩევნო დაპირებებს, რომელიც შექმნილ სიტუაციაში, როდესაც ორი პარტია ერთმანეთის პირისპირ დარჩა, უნდა იყოს უფრო კონკრეტული, ვიდრე, ეს იყო პირველი ტურის დროს.

თუმცა, არც ერთ მათგანს ეს არ აწყობს — მათ არ აწყობთ ახალი დაპირებები, რომელიც მალევე შესასრულებელი ექნებათ, რადგანაც უკვე გარანტირებული აქვთ საპარლამენტო პარტიის სტატუსი.

ამიტომ, კამათი გადატანილ იქნა კონსტიტუციაზე, რომელიც ყველა შემთხვევაში იქნება ორივე პარტიის გადასაწყვეტი, ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა **„ქართულ ოცნებას“** თუ არა — ეს იქნება პარლამენტის განხილვის საგანი.

ყველასთვის ცნობილია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა თავისთავად არც სიკეთე და არც ბოროტებაა.

მსგავსად ნებისმიერი მონოპოლიისა, ის მოიცავს შესაძლებლობებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით. თუმცა, მონოპოლიური მდგომარეობის დროს (როგორც ამტკიცებს პრაქტიკა), დიდია ცდუნება — ეს მდგომარეობა გამოყენებულ იქნეს მონოპოლისტის ინტერესების შესაბამისად.

შექმნილ სიტუაციაში აბსოლუტურად სწორია მტკიცება: საქართველოში არსებობს საფრთხე, რომ კონსტიტუციური უმრავლესობა გამოყენებული იქნება ერთი პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება დაშორდეს ქვეყნის ინტერესებს!

ამასთან, ცნობილია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების 25 წლის განმავლობაში ქვეყანა ვერ განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის დროინდელი ერთპარტიული მმართველობისგან — ვერ მოხერხდა, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელი არ იყოს „გაორებული“ პიროვნება და არ ეკავოს ამავე დროს სახელმწიფოს პირველი პირის თანამდებობა. მმართველი პარტია არის უმრავლესობაში არა მარტო საქართველოს პარლამენტში, არამედ, ყველა დონის წარმომადგენლობით ორგანოებშიც!

ანუ, საფრთხე არსებობს, მაგრამ ამაში უჩვეულო არაფერია.

როგორც ანალიტიკოსები იტყვიან, სხვა დანარჩენ პირობებში, საფრთხე საკონსტიტუციო უმრავლესობის გამო შეზღუდულია სხვადასხვა ფაქტორებით, დაწყებული საზოგადოებრივი აზრით ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებით დამთავრებული.

არანაკლებ საფრთხეა პარლამენტში კონსტიტუციური დიოპოლიის ჩამოყალიბება (რაც თეორიულად მეორე ტურის დროს შესაძლებელია, თუმცა, პრაქტიკულად, ალბათ გამორიცხული), როდესაც კონსტიტუციური ცვლილება ორპარტიული საქმე შეიძლება გახდეს („პატრიოტთა ალიანსს“ არ ჰყოფნის ხმები, შეცვალოს სიტუაცია). ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება კოჰაბიტაციური მოტივაციის გარეშე. არადა, არსებული კონსტიტუცია აუცილებლად უნდა გადაიწეროს, რადგან, მასში განხორციელებულმა ვოლუნტარისტულმა ცვლილებებმა ამ დოკუმენტს ერის გამაერთიანებელი შინაარსი და სახელმწიფოს ეფექტიანად მართვის მექანიზმები გამოაცალა!

მაგალითად, კვლავ გაგრძელდება ასეულ მილიონობით ლარის ფლანგვა, თანაც სახელმწიფო მანქანის ეფექტიანად მუშაობის საზიანოდ, ქუთაისში საქართველოს პარლამენტის არსებობის გამო. ვინც ამას ვერ ხვდება და პრიმიტიულად — ქუთაისლების გასახარად ამბობს, რომ მხარს არ დაუჭერს პარლამენტის თბილისში გადატანას — მხარს უჭერს ფულის ფლანგვას, საიდანაც ქუთაისლებს თითქმის არაფერი არ რჩებათ!

ამ ხალხის პოზიცია გასაგები იქნებოდა, რომ ეთქვათ: პარლამენტის გადატანით მიღებული ეკონომია გადაეცეს ქუთაისს განვითარებისთვისო. მათ გულრწფელობაში და ქუთაისზე ზრუნვაში ეჭვს არ შევიტანდი, მათგან რომ გამეგო: ცენტრალური ავტომაგისტრალი მართალია, არ უნდა გადიოდეს ქალაქ ქუთაისის შუაგულში, მაგრამ აუცილებლად ქუთაისის მიმდებარედ უნდა გადიოდესო. თავის დროზე სამტრედიიდან ზესტაფონამდე რკინიგზა სადგურ რიონის გავლით რატომ გაიყვანეს? მაშინდელმა ინჟინრებმა და პოლიტიკოსებმა არ იცოდნენ ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი რა იყო?

იცოდნენ, მაგრამ გზისა და ქალაქის ურთიერთობის ეკონომიკური მნიშვნელობაც იცოდნენ — მაგისტრალის ქუთაისზე აშორებამ ეს ქალაქი პერიფერიულად აქცია და ამით ისეთი მატერიალური ზიანი მიაყენა, რომლის ანაზღაურებას მსოფლიოს 200 ქვეყნის პარლამენტის ქუთაისში გადმოტანაც ვერ უშველის!

გასაოცარი ისაა, რომ საქართველოში ქვეყნისთვის უახლესი პერიოდის მთავარ საფრთხეს ვერავინ ვერ ამჩნევს.

საქართველოს არჩევნების შემდგომი პერიოდის მთავარი საფრთხეა არა საკონსტიტუციო უმრავლესობა, არამედ, საქართველოში მმართველობის უნიკალური სისტემის ჩამოყალიბება, როდესაც ეს საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთ კაცზეა დამორჩილებული, მის წინაშეა ვალდებული, რადგანაც მის მიერაა „დანიშნულ“-დაწინაურებული.

საქართველოში შექმნილი სიტუაცია იმდენად უნიკალურია, რომ მას სახელწოდება ჯერ არა აქვს.

ერთი კაცის მმართველობა ცნობილია — მეფე, დიქტატორი, ბელადი...

ცნობილია ჯგუფის მმართველობა — კლეპტოკრატია, პროლეტარიატის დიქტატურა...

მაგრამ უცნობია ერთი კაცის არათი; „cratos“ — ბერძნული — ხელისუფლება).

რამდენ ხანს და საით განვითარდება „სოლოკრატია“ საქართველოში, ძნელად საპროგნოზოა.

ის შეიძლება განვითარდეს დემოკრატიისკენ, თუ არაფორმალური მმართველი უარს იტყვის ძალაუფლებაზე და „სოლოკრატიაზე“!!!

ის შეიძლება განვითარდეს „სოლოკრატიის“ გაღრმავების - ერთი კაცის მმართველობის ცნობილი ფორმების მიმართულებით.

სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა „სოლოკრატიის“ სისტემის ნაწილი ხდება და კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება ერთი კაცის ნება-სურვილითაა შესაძლებელი, ქვეყნის შიდა ფაქტორებს შორის განვითარების, კეთილდღეობისა და სოციალური სიმშვიდისთვის ყველაზე დიდი საფრთხე იქმნება.

გაუძლებს ერთი კაცი საქართველოს წინაშე უახლოეს პერიოდში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატუსის, საქართველოს ფედერალიზაცია-რეგიონალიზაციის, თუ უნიტარული განვითარების, მიწის კანონმდებლობის მოწესრიგების, მმართველობის დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის განხორციელების, ბუნებრივი რესურსების ნეოკოლონიალური სისტემის დაძლევის, საქართველოს უქართველებოდ დარჩენის პროცესის ამოცანებს იმაზე ათჯერ და ასჯერ მეტი ზეწოლის დროს, ვიდრე მაშინ, როდესაც მისივე თქმით, დათანხმდა „კოჰაბიტაციას“ იმ დროს, როდესაც ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ იცოდა?!

მას ამაში საეჭვოა, მიეხმაროს პირადი „მარიონეტი“ მმართველი ძალა და მისი წევრები, რომლებიც ერთმანეთს არა მისი მოსაზრებების დასაბუთება-არგუმენტირებაში, არამედ, მათი უაპელაციოდ განხორციელების სისწრაფეში ეჯიბრებიან.

არის ამის სიმპტომებიც.

ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო შეხვედრების დროს **„ქართული ოცნების“** დემოკრატიის მიმართულებით წარმატების მაგალითად ასახელებდა მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევნების სისტემის დამკვიდრებას. ამავე დროს, გამოთქვამდა წუხილს, რომ საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი ვერ შეცვალა მისი პარლამენტის მიერ არჩევის წესით!!!

როგორც კი გაჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის შანსი — გაჩნდნენ „პიონერებიც“, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნების დასანერგად საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაზე ალაპარაკდნენ.

თუმცა, საზოგადოებას არავინ ეუბნება, თუ რატომაა მერებისა და გამგებლების ირიბიდან პირდაპირ არჩევნებზე გადასვლა დემოკრატიის განვითარება, ხოლო, პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით დემოკრატია რატომ უნდა განვითარდეს საწინააღმდეგო მიმართულებით?!

როგორც ჩანს, „სოლოკრატიის“ „პირველი მსხვერპლი“ საქართველოს პრეზიდენტი იქნება.

თუმცა, ეს „სოლოკრატიის“ რომელი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს, ამას დრო გვიჩვენებს!

მიხეილ ჯიბუტი

ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა

ლიტვის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები ცნობილია. ამომრჩევეთა უმრავლესობამ ხმა „გლეხებისა და მწვანეთა კავშირს“ მისცა, მეორე ადგილზე ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი გავიდა, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია კი მესამე ადგილს დასჯერდა. უკვე დათვლილი ბიულეტენების მიხედვით, აგრარულმა კავშირმა 56 მანდატი მოიპოვა, კონსერვატორები მომავალ საკანონმდებლო ორგანოში 31 მანდატს მიიღებენ, ქრისტიან-დემოკრატები კი 17 მანდატს დასჯერდებიან.

ტრამპი კლინტონს 4%-ით ჩამორჩება

დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბი ფინალურ დებატებში დამარცხებას აღიარეს. „ჩვენ ჩამოვრჩებით. კლინტონს გარკვეული უპირატესობა აქვს. თუმცა, დანებებას არ ვაპირებთ, რადგან ვიცით, რომ მოგება შეგვიძლია“, — აცხადებს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. ბოლო გამოკითხვებით, წინასაარჩევნო რეიტინგში პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი ლიდერობს. ჰილარი კლინტონს ხმას გამოკითხულთა 47 პროცენტი აძლევს, ტრამპს კი 43 პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს. საპრეზიდენტო არჩევნები შეერთებულ შტატებში 8 ნოემბერს გაიმართება.

თურქეთში გიულენის ნათესავები დააპატიმრეს

თურქეთში ფეთჰულაჰ გიულენის კიდევ ორი ნათესავი დააკავეს. ამის შესახებ გამოცემა ჰარიეტი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ჰუსეინ და ბუშრა გიულენები პოლიციამ იზმირში დააპატიმრა. დაკავებულებს ბრალი სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან კავშირში დასდეს. ანკარა შეუმდგარი სამხედრო გადატრიალების ორგანიზებაში შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ფეთჰულაჰ გიულენს სდებს ბრალს და მის ექსტრადიციას ითხოვს.

◎ ეს მთელი ქალაქის აზრია!

რუსთაველები მოვითხოვთ, რომ ჩვენი ქალაქის სახელი არ ერქვას ანტიეროვნულ ტელეარხს!

ჩვენ, რუსთაველთა უმრავლესობას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის სახელი და ღირსება, და მისი ღირსების წარსული ისტორია, დღევანდელობა და მომავალი, მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ამ სახელს არ უნდა ატარებდეს. ეს შეურაცხმყოფელია ქალაქ რუსთავისათვის.

„რუსთავი-2“ თავის ავზნიანი გადაცემებით, თავისი ფაშისტური იდეოლოგიის გამომხატველი პროგრამით ანტიეროვნულია, ანტიქართულია. სიტყვით ვითომ ევროპული, დასავლური ორიენტაციისაა, მაგრამ მისი გადაცემები სიმართლეს და ერის ინტერესებს კი არა, ერის გათიშვას, გადაგვარებას, გახრწნას ემსახურება. „რუსთავი-2“-ის გადაცემები პირდაპირ კი არა, შებრუნებით უნდა გავიგოთ, მაგრამ მაშინაც სიმართლე, ჭეშმარიტება გაუგებარი იქნება. რესპონდენტთა და წამყვანთა ურთიერთდაპირისპირება, ზიზღი რაც მაყურებელში თესავს სიძულვილს, წამლავს მოსახლეობას, უფრო მეტიც, ეს არაკაცი გვარამია თავისი მოწოდებებით სახელმწიფო გადატრიალებისკენ, ქვეყნის ნგრევისკენაა მიმართული.

გადავხედოთ რუსთავის ახლო ისტორიას, გავიხსენოთ მისი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში. ისიც ვიცოდეთ, გვახსოვდეს, რუსთავი როდის, რა პირობებში და რა მიზნით აშენდა და იქცა ინდუსტრიულ ცენტრად. რუსთავი რომ არა, დღეს საქართველოს საზღვარი თბილისთან სულ ახლოს, სოღანლუღთან, დღევანდელ ფონიჭალასთან იქნებოდა. დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამაც კი თავის დროზე აღიარა, რომ რუსთავის აშენებით ქართული ენის გავრცელების არეალმა თბილისიდან ათობით კილომეტრით გადაიწია.

კაცთმოძულე მიშა და მისი იდეოლოგი გვარამია, შხამისა და ბოღმის აყროლებულ ჭაობში ჩაფლული ჩვენს ქალაქს მორალურ განადგურებას უქადის, ცდილობს გარყვნას ერი.

თვით ფაშისტური გერმანია თავისი გესტაპოთი და შავრაზმელებით ასე სასტიკად, უღმერთოდ არ ეპყრობოდა ქართველ ტყვეებს, როგორც ეს ავაზაკები ჩვენს მოქალაქეებს ექცევიან. „რუსთავი-2“ ხომ გაჟღენთილია სიძულვილით, ანტიეროვნული მოწოდებებით, ამდენად, ეს ავბედითი მაუწყებლობა უტიფრად შეურაცხყოფს ჩვენი ქალაქის სახელს.

აქვე მოვითხოვთ სიძულვილის ენით ლაპარაკი და ცილისწამება დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამომრჩევლებს მოუწოდებენ ნაცების ხმის მიცემისაკენ, ეს აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, რაც აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.

ამიტომ კიდევ ერთხელ მოვითხოვთ თითოეული ჩვენგანისთვის შეურაცხმყოფელი, დემაგოგიური, ანტიქართული ტელეკომპანია ჩვენი ქალაქის, რუსთავის წმინდა და ისტორიულ სახელს არ უნდა ატარებდეს...

დიახ, კატეგორიულად მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს დაუყოვნებლივ გადაერქვას სახელი!

რუსთაველების სახელით:

ოთარ ლომიძე, ვეტერანი მეტალურგი, შრომის გმირი;
ნიკოლოზ მენთეშაშვილი, საზოგადოება „რუსთაველების“ თავმჯდომარე;
დავით რეხვიაშვილი, რუსთავის საპატიო მოქალაქე;
იუზა ჩუბინიძე, რუსთავის საპატიო მოქალაქე, ორგზის ორდენოსანი;
გივი ჯახუა, რუსთავის საპატიო მოქალაქე, საქართველოს გენერალთა კავშირის წევრი, სამგზის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი;
ვალერიან გრძელიშვილი, რუსთავის საპატიო მოქალაქე ორგზის ორდენოსანი;
გელა გრძელიშვილი, ახალგაზრდა სპეციალისტი;
კარლო ნაჭყებია, სპორტის დამსახურებული მუშაკი;
მურად გოგოტიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი;
ზურაბ გიორგაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი;
ლილი მაისურაძე, ახალგაზრდა სპეციალისტი;
ირაკლი ჯიშკარიანი, არქიტექტორ-დიზაინერი;
ირაკლი მიქიაშვილი, რუსთავის საპატიო მოქალაქე და სხვ.

(ხელმოწერები გრძელდება).

საფრთხეები და რეფორმები

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

ეს დღეებია, სხვა აღარაფერი გვესმის ტელეარხებიდან: კონსტიტუციური უმრავლესობა დამღუპველი იქნება „ქართული ოცნებისთვის“ და ამიტომაც, თუკი მისი და ჩვენი ქვეყნის სიკეთე გვინდა, მეორე ტურში აუცილებლად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს უნდა მისცეს ხალხმა ხმაო.

ნაციონალური მოძრაობის შიგნით ეს სახელდახელო მოძრაობაც გაჩნდა და ერთბაშად გამოიკვეთა: „ქართული ოცნების“ მომხრეებო, დაე ერთად ვუშველოთ ამ პარტიას, დავიხსნათ მოსალოდნელი საფრთხისაგან, ვაითუ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებამ გაათამამოს, გაადიდგულოს და საბოლოოდ კრახით დაასრულოს საპარლამენტო მოღვაწეობა. ამიტომ ერთადერთი გზა მისი გადარჩენისა ჩვენი კანდიდატების გამარჯვება იქნებაო.

ამ მოძრაობას, რა გასაკვირია, თითქმის ერთსულოვნად რომ აჰყოლოდნენ არასამთავრობოთა სახელით მოქმედი ორგანიზაციები: ვისაც „ოცნების“ შველა გვინდა, ვიდრე გვიან იქნებოდეს, მათი კანდიდატები გადავხაზოთ და ფართო შარაგზა გადავუშალოთ დემოკრატიას, „ქართული ოცნების“ სრული ტრიუმფი ჩიხში რომ შეიყვანს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ აღმშენებლობასო.

თუ საპასუხო ხმაც გაისმის: იმ ცხრა წელიწადს რატომ არ განაღვლებდათ ნაციონალური მოძრაობის მოსალოდნელი ბედი, კრინტსაც რომ არა ძრავდით პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული კონსტიტუციური უმრავლესობის წინააღმდეგო, — მზამზარეული არგუმენტი მოეპოვებათ იმ ხმის ჩასახშობად, მტკიცე და ეჭვშეუვალი, გრანიტსაც რომ დაფშხვნის: მაშინ ისე იყო საჭირო, ახლა ასეა საჭიროო!..

ცხრა წელიწადს რატომ არ განაღვლებდათ ნაციონალური მოძრაობის მოსალოდნელი ბედი, კრინტსაც რომ არა ძრავდით პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული კონსტიტუციური უმრავლესობის წინააღმდეგო, — მზამზარეული არგუმენტი მოეპოვებათ იმ ხმის ჩასახშობად, მტკიცე და ეჭვშეუვალი, გრანიტსაც რომ დაფშხვნის: მაშინ ისე იყო საჭირო, ახლა ასეა საჭიროო!..

სხვა პარტიების წევრებიც აიყოლიეს, მათ შორის, „ოცნების“ გუშინდელი მოკავშირენიც, ლამის კიდეც რომ წააჭარბონ ნაციონალურ მოძრაობას ამ მოწოდებით: ვუშველოთ „ქართულ ოცნებასა“ და დემოკრატიასო!..

კაცმა რომ თქვას, ამგვარი საფრთხე მართლაც არსებობს, განა არა: გამარჯვებამ, წარმატებამ, საკუთარი ძალ-ღონისა და ზეგავლენის შეგრძნებამ იცის, როგორ არ იცის გადიდგულებაც და ძალაუფლებით უზომო ტკბობაც, მაგრამ... ამის გამო წარმატებაზე უარი ვის უთქვამს, ვის გადაულოცავს საკუთარი გამარჯვება სხვისათვის, ვაითუ მე გავდიდგულდეო!.. განა ვინ მოგცემს გარანტიას, რომ ის სხვაც არ გადიდგულდება და მონაპოვარს, დიდი იქნება თუ მცირე, ბოროტად არ გამოიყენებს?!.

თუმც ეს აზრი რაღაც ძველმოდურსა ჰგავს, არადა, სატელევიზიო მოწოდებათა ფონზე (გაზეთებიც გადაჭრელდა ამ შეგონებით, მაგრამ სად ტელევიზიის ხმის მიწვდენა ყველა კუთხე-კუნჭულში და სად პრესისა!) მოვალენი ვართ, თანამედროვეობისა და დემოკრატიის ნათელში გადავაფასოთ ყოველი ძველი შეხედულება და გავაბიჯოთ ახალ სამყაროში, სადაც, ცხადია, არა კმარა კონსტიტუციური უმრავლესობის წინააღმდეგ შემართება, ბარემ მივყვეთ და რეფორმათა მთელი კასკადი ავამოძრაოთ, რათა არსად დავუტოვოთ თავშესაფარი საფრთხეს და ბოლომდე ამოვძირკვოთ მისი გასაგისი.

განა ყველა თანამდებობა საფრთხეს არ შეიცავს? რამდენი ადამიანი წაუხდენია და გადაუგვარებია დაწინაურებას!.. და სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ქვეყნის პრეზიდენტი იყოს ადამიანი, პრემიერ-მინისტრი ან თუნდ მინისტრი ან გუბერნატორი, გამგებლობაც, დირექტორობაც, ნებისმიერი თავმჯდომარეობაც (პარლამენტისაც, სხვათა შორის!) და მმართველობაც, რა დასამალია და — რექტორობაც, რედაქტორობაც, ის კი არა, განყოფილების გამგეობაც თუ მერგოლურობაც თავთავისებურად საშიშია და ყინულივით სრიალაც ფეხის მოსასხლეტად.

და ამიტომაც სხვა გზას ვეღარც ვხედავ, გარდა იმისა, რომ:

ყოველგვარი თანამდებობა გავაუქმოთ.

სიმდიდრეც დაღუპვის კართან აყენებს ადამიანებს. და ამიტომაც გულმოდგინედ უნდა დაითვალოს ყველას ჯიბეში ფული და დღიურ ნორმაზე მეტი არავის უნდა ჩაუტოვონ.

ვითომ ჯილდოები არ მოქმედებს ცუდად ადამიანებზე?

მოქმედებს და ეგრე?!..

და ტაში?

ოოო, ეს არის თუ არის დამღუპველი. რამდენი ხელოვანი და სპორსტმენი ვიცით, ტაშს რომ გაუფუჭებია და კიდეც დაღუპულან სულიან-ხორციანად, რადგანაც ყოვლისშემძლეებად წარმოუდგენიათ თავი, მწვერვალზე მოქცეულებად და ღირსად ყოველგვარი სიკეთისა.

უნდა გაუქმდეს ჯილდოები.

ტაშიც ხომ უნდა გაუქმდეს და გაუქმდეს.

ყველა დეტალს სადღა ჩამოვყვე, მთავარია, რომ გეზი თვალნათლივ გადაშლილია და დანარჩენს დაე რეფორმატორებმა მიხედონ, ჭეშმარიტ დემოკრატიას რომ გვაზიარებენ, და დიდპატარიანად კიდეც ერთობლივ შევაბიჯებთ იმ სამყაროში, სადაც დაგვხვდება ახალი ცა და ახალი მიწა... და მაშინ შევიგრძნობთ თუ შევიგრძნობთ ამქვეყნიურ ბედნიერებას!..

კომუნიზმს რომ გვპირდებოდნენ და რატომღაც ვერ აგვისრულეს დანაპირები, აგერ მივმდგარვართ მისი აღაჟღაჟებული მწვერვალის კალთებთან, მაგრამ რად გინდა — კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების საფრთხე გვიშლის ხელს: ჯერ „ქართულ ოცნებას“ და მერე ყველა ჩვენგანს.

ამიტომ:

რეფორმები, რეფორმები და მხოლოდ რეფორმები!..

თანაც ასეთი!..

და აუცილებლად ამათი ხელით!..

დიახაც, რეფორმები ყველგან და ყველაფერში, თორემ მარტოდენ კონსტიტუციური უმრავლესობისთვის გზის გადაღობვა რას გვიშველის, თუ გარდუვალ ცვლილებათა ის კასკადი გვერდით მიგვრჩება.

მაშ:

ვაუქმებთ ყველა თანამდებობას, ყოველგვარ ქონებას, ნებისმიერ ჯილდოს... და ტაშის ხმა აღარ გავიგონოთ, თორემ ის დაგვღუპავს თუ დაგვღუპავს.

ანკი რა სათქმელია ეს წვრილმანები, როდესაც ხელისგაწვდენაზე ილანდება ახალი მიწა და ახალი ზეცა.

პირველი ნაბიჯი ამ საუფლოსკენ კი „ქართული ოცნების“ კანდიდატთა გადახაზვა იქნება, დიდი რეფორმატორული მოღვაწეობის წარმატებული დასაწყისი.

მაგრამ ესეცაა:

რეფორმატორებს რომ აუვარდეთ თავში და თვითონაც დაიღუპონ და ჩვენც ზედ დაგვისართონ?

თუმც... ამის თაობაზე დავალოდოთ ჩვენს არასამთავრობოთა გამოხმაურებას, აქამდეც ბევრი სიკეთე რომ შეგვყარეს და არც შემდგომ და შემდგომ დაგვამადლიან ახალ-ახალ სიკეთეებს.

როსტომ ჩხეიძე

მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება



ძველა დროსა და ეპოქაში უკვდავი იქნება სახელი მისი, სახე, იერი, ქართველი კაცის იდეალური აღნაგობა მასში იყო განსახიერებული... ქანდაკივით კაცი — მის შექმნილ ქანდაკებებს ჰგავდა...

ეს წერილი მაშინ ვერ მივაწოდე — მომერიდა, მისი გემოვნების და სხვათაშორის გარდა საოცარი ხელოვნებისა, შესანიშნავი წერილებისა და ესეების ავტორს შეიძლება არ მოსწონებოდა, ანდა... ამბიციურობაში არ ჩაეთვალა... თუმცა... მისი არისტოკრატიული, ინტელიგენტური ხასიათის გამო, რა თქმა უნდა, ამას არ გაამჟღავნებდა, არ იკადრებდა...

ახლა კი ვბედავ... უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე ეს ჩემი ნააზრევიც რომ დავაწიო... იმ უამრავ წერილთან და სიტყვასთან ერთად, დღეს რომ ჩემზე მეტად ღირსეული და კომპეტენტური პიროვნებები უბოძებენ...

დღევანდელი საქართველო დავით გურამიშვილს ჰგავს...

უფრო სწორად მის ცხოვრებას, მისი შემოქმედების ნაყოფს და... სრულიად ზუსტად — გურამიშვილის ძეგლს, დიდმა მოქანდაკემ რომ შექმნა მინიშნებით, მიგნებით — ყველა დროის ქართველთა გასააზრებლად — ბედკრული სამშობლოს, ბედუკუღმართი დიდი მოაზროვნის უკვდავსაყოფად... თვით მკითხველმა განსაჯოს ზემოთ თქმული... ილია ჭავჭავაძის პროსპექტს გაჰყვეს, უსახო-უღიმღამო შენობებს შორის „ჩრდილში“ და „მორცხვად“ მდგომ ძეგლს მიუახლოვდეს, შესდგეს — გაქვავდეს, მზერა არ მოაშოროს და იფიქროს... ჯერ ძეგლის იერსახე შეათვალიეროს და შეადაროს დღევანდელ სამშობლოს — ჟანგი, მტვერი და უსუსურობა სპეციალურად თვალში საცემი (ავტორის ბატონ მერაბ ბერძენიშვილის ჩანაფიქრია, რა თქმა უნდა). ახლა კი, დავითის ლამაზ, დახვეწილ, ტანჯულ, გამხდარ, ფაქიზ — ოღონდ ვაუკაცურ ნაკვთებიან სახეს დააკვირდეს და გაიხსენოს:

„მე არ ვჰფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!“

ლამაზი სახეც აქვს, ფაქიზი, ვაუკაცური ნაკვთებიც და კარგად რომ დააკვირდებით, იგრძნობთ, გაგახსენდებათ მისი ძალა და ნებისყოფა; ნიჭი და უნარი, დავით გურამიშვილი — მეომარი, მებრძოლი, მამაცი და უშიშარი, პოეტი და ქალების ტრფიალიც, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და... წარმოიდგინეთ ტყვეც... სამშობლო — დაკარგული, სული —შელახული, გული— გატეხილი, ტკივილი და ცრემლი, დარდი და ფიქრი ახლავს დავითს და მის ძეგლს სახეზე... და რაც მთავარია, მომავლის იმედით ჭვრეტაც... განა ტყუილად შეუქმნია შთამომავლობისთვის — ქართველთათვის ტრაქტატი, ეპისტოლე, თუ გნებავთ — ჩვენთვის ბიბლიური, საკრალური წიგნი „დავითიანი“?! მოუწოდებს, ემუდარება მომავალ ქართველებს, რომ უსმინონ, გაიგონ, შეიგნონ, მიჰყვნენ დავითის ცნებასა... სწავლაში და სწავლის ძებნაში, მხოლოდ წიგნის სწავლებას გულისხმობს? — შრომას, ბრძოლას, ზნეობას, ურთიერთსიყვარულს, ქართველთა გადარჩენას და აშენებას... მისი მწარე ცხოვრების მაგალითზე, ბედნიერი ცხოვრების დადგომას და ამით სამშობლოს გაერთიანებას — აღზევებას, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას და სიკეთის, სიყვარულ-სიხარულის საბოლოო გამარჯვებას. ამის შესასრულებლად მან კარგად იცის, ქართველებმა ჯერ მწარე უნდა ჭამონ და შემდეგ ტკბილი... მის ცნებებს, მის გამოცდილებას უნდა მიუგდონ ყური... ამისათვის გადადო მან ხმალიც და ბარიც და კალამი აიღო ხელში — კალამი, შთამომავლობას უბოძა და უანდერძა მისი აზრი და გონება, მთელი სიცოცხლე ჩააქსოვა, სისხლი და ოფლი ღვარა ამ საკრალური პოეზიის შესაქმნელად... განუმეორებელი სტილი — განუმეორებელი წყობა ლექსისა შექმნა გულით — საგულდაგულოდ... მან კარგად იცის თავისი პირმშოს ფასი, მიზანი შეასრულა ვალმოხდილმა, მაგრამ... რაც მას ოდისეა გადახდა — კავკასიის მთებში, რუსეთის ტრამალებში, პრუსიის ველებზე თუ უკრაინის ბოსტან-ბაღებში, მხოლოდ ერთი მიზანი აცოცხლებს: როგორ მიაწოდოს, როგორ მოუტანოს ქართველთ თავისი წმინდა საუნჯე — წიგნი უპირველესი... ამიტომაც, ქანდაკების ტანს დააკვირდით — ფართო ბრტყელი ბეჭები — მშვილდივით შემართული, მკლავები გრძელი, თხელი, კუნთიანი, მარცხენაში ის ჯადოსნური წიგნი უჭირავს, უჭირავს რა სათქმელია, გრძელ-თხელ ღონიერ თითებში ჩაუბღუჯავს, გულში ჩაუკრავს, კი არ ჩაუკრავს — ჩაუხუტებია, მოფერებია, გულის ფიცრად გაუხდია... ისე კი არა აქვს, როგორც გალაკტიონს: **„მაქვს მკერდს მიდებული ქნარი — როგორც მინდა“,** არამედ, როგორცაა საჭირო, რომ არ დაიკარგოს, როგორმე საქართველომდე მივიდეს, როგორმე შთამომავლობამ წაიკითხოს... გულზე, გულის ფიცარზეც მეტია მისთვის ეს წიგნი... დიდი გზა უნდა გაიაროს — დიდი გზა, ჯერ რომ საქართველოში მივიდეს და... შემდეგ გულში — სულში, რომ ჩაწვდეს ყველა ქართველს, როგორც დავითისთვის, მათთვისაც იყოს ეს წიგნი — ცოცხალი ვითარცა არსება... მარჯვენა ხელის თითები ქვემოთ დაუშვია, ჩამოქნილი თითები გაკვირვებას, გაოგნებასაც აღნიშნავს, აღშფოთებასაც, თითქოსდა ამბობს — რა დაგვემართაო... **„კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს. უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს, ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!“** ეს ჟესტი — საერთოდ მისი პოეტური შემოქმედების აღმნიშვნელია... ახლა საერთოდ სხეულს — ფიგურას დაუკვირდით — გამხდარი, დამდნარი, ხორცი თითქოსდა აღარა აქვს, კუნთი და სისხლი, ძარღვი და შინაგანად ზამბარასავით შემართული.. ისეთი ტანი — სხეული აქვს მისი სულისა და ჭკუის პატრონს — თუ სამშობლო კარგად ეყოლება, თუ ქართველი ლაღად და გონიერად იცხოვრებს, მასაც ხორცი შეესხმება უმალ...

აი, ასეთი ლამაზი ძეგლი, ლამაზი დიდებული ქართველისა დგას ლამაზ თბილისში და ელოდება ქართველთა იდეალების გამარჯვებას, ესე იგი საქართველოს ძლიერებას და ერთიანობას. და თუ სისხლდაცლილმა საქართველომ, ქარტეხილებიანი და ბობოქარი საუკუნეებიდან შემოინახა დიდი ქართველი პოეტის სახელი, უეჭველია მისი სამშობლოც არ დაიკარგება, აღორძინდება, განათლდება — განათდება მომავალ საუკუნეებში და მუდამ იცოცხლებს! ამინ!

ოთარ მიმინოშვილი,
1993 წელი, მაისი.

◎ ვიგონებთ დიდ ხელოვანს!

საშშობლოს სამსახური და სიყვარული...

ეს ამონარიდი მერაბ ბერძენიშვილის წიგნაკიდანაა („მზე“ — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979 წელი).

...„ამ ქვეყანაზედ ყველაზე მშვენიერი ყრმობაა.

როცა სიჭაბუკეში შედგამ ფეხს, ეს უკვე მამაკაცური მრწამსის საწყისია — სამზადისი, სამშობლოს სამსახურისა და სიყვარულისა, ხოლო როცა სრულად შეიცნობ და გაითავისებ შემოქმედის უღელს, სიცოცხლის ბოლომდე უმწიკვლოდ და უზადოდ უნდა ზიდო იგი.

მაგრამ ვის შეუძლია შეებრძოლოს უჩინარ ურჩხულს, ყოფნა-არყოფნას? უკვდავი მხოლოდ შენი სულია მანათობელი“.

— ჭეშმარიტად რაინდული სულის არტისტი, ქველმოქმედი, უშურველი და ხელგაშლილი. „ხასანბეგურასავით“ პოლიფონიური, მიმინოსავით მორჩილი და შეუპოვარი, „რიმტირირირაო იაჰო“-სავით ცას რომ ასწვდებოდა, მერე გურიის ლურჯი ხუჭუჭა ნისლიან მთებში დაქანებულ-ჩაკარგული და ისევ ასხლეტილი.

მერაბ, ჩვენი თაობის არტეპოქა დასრულდა. ახლა ახალმა თაობამ შეიდგა უღელი კისერზედ!

ნოდარ მალაზონია,
საქართველოს სახალხო მხატვარი

ნოდარ მალაზონია, ოთარ ჯიშკარიანი, მერაბ ბერძენიშვილი. თბილისის სამხატვრო აკადემია. 1949 წ.

ნოდარ მალაზონია და მერაბ ბერძენიშვილი. 1993 წ.

კოტე დვალიშვილი, ნოდარ მალაზონია, მერაბ ბერძენიშვილი. 1995 წ.

ADB

სატენდერო მოწვევა

თარიღი: 24 ოქტომბერი, 2016

სესხი №. და სახელწოდება: 50064-GEO: ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი

კონტრაქტი №. და სახელწოდება: RCIP/CW/ICB-04: ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, კმ -1+000 – 13+325

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა:

19 დეკემბერი 2016, 17:00 სთ (ადგილობრივი დროით)

1. საქართველოს მთავრობამ განვითარების პარტნიორებისაგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად. კონტრაქტი ერთობლივად დაფინანსდება აზიის განვითარების ბანკის (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის მიერ (AIIB). აზიის განვითარების ბანკი წარმოადგენს პროექტის წამყვან დამფინანსებელ პარტნიორს და განახორციელებს მის ადმინისტრირებას არსებული თანა-დამფინანსებლის სახელითაც. ვინაიდან თანადამფინანსებლის (AIIB) წესდება ითვალისწინებს უნივერსალურ შესყიდვას, აღნიშნული ტენდერი ღიაა ყველა მონაწილისათვის და მასზე არ ვრცელდება შეზღუდვა მონაწილეთა ეროვნების მიხედვით. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, თავი VII -ით გათვალისწინებული, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის ფირმები, რომელთა ქვეყანაშიც შემსყიდველის ქვეყნიდან აკრძალულია საქონლის იმპორტი, ან სამუშაოსა და მომსახურების კონტრაქტის გაფორმება ან პირთა მიმართ გადახდების განხორციელება აღნიშნული ქვეყნიდან. ყველა სხვა ასპექტში, შესყიდვა განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისათვის კმ -1+000 – 13+325. აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტი ითვალისწინებს 2-ზოლიანი გზის მშენებლობას, რომლის სიგანეა 14მ. ის მოიცავს ხიდებსა და გვირაბებს („სამშენებლო სამუშაოები“).

3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ორ-კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, ეროვნების მიხედვით შეზღუდვის გარეშე.

4. შესაბამისი მონაწილეები, დამოუკიდებლად ან ერთობლივი საწარმოს ფორმით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს/კრიტერიუმებს:

ფინანსური მდგომარეობა: მონაწილის წმინდა კაპიტალი უნდა იყოს დადებითი. მისი ყოველწლიური საშუალო სამშენებლო ბრუნვა ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 130 მილიონ აშშ დოლარს. მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მას გააჩნია ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები - არანაკლებ 21 მილიონი აშშ დოლარისა პროექტის ფულადი სახსრების მოძრაობის მოთხოვნის თანახმად და მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს.

მშენებლობის გამოცდილება: ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა მინიმუმ ერთ (1) კონტრაქტში, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია და წარმატებით განხორციელდა. აღნიშნული მსგავსი კონტრაქტის ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 133 მილიონ ამერიკულ დოლარს, პრეტენდენტს მასში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული როგორც კონტრაქტორს, მმართველ კონტრაქტორს ან ქვე-კონტრაქტორს.

მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხიდების მშენებლობის გამოცდილება, აღნიშნული ხიდების მთლიანი ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50,000 m^2-ს;

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გვირაბების მშენებლობის გამოცდილება. აღნიშნული გვირაბების ჯამური სიგრძე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3, 000 მ-ს (მინიმუმ - 2 ზოლიანი გზა).

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ბატონი ირაკლი ხერგიანი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 37 05 08 შიდა: 311
ფაქსი: (+995 32) 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

- წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის კმ -1+000 – 13+325 სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად.
- გადაიხადონ მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით ან მისი ექვივალენტი აშშ დოლარში, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას, შემდეგ ანგარიშზე:

<u>ლარში ანგარიშსწორებისთვის</u>:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

<u>დოლარში ანგარიშსწორებისთვის:</u>
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Construction of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325.

7. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

- ზემოთ მოცემულ მისამართზე.
- **არაუგვიანეს 2016 წლის 19 დეკემბრისა, 17:00 სთ (ადგილობრივი დროით)**
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არა-ოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB

INVITATION FOR BIDS

Date: 24 October 2016
Loan No. and Title: 50064-GEO: Batumi Bypass Road Project
Contract No. and Title: RCIP/CW/ICB-04: Construction of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325
Deadline for Submission of Bids: 19 December 2016, 17:00 Hours (Local Time)

2. The Government of Georgia has applied for financing from development partners toward the cost of **Batumi Bypass Road Project**. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. This contract will be jointly co-financed by ADB and the Asian Infrastructure Investment Bank (AIIB). ADB is the lead financing partner for the project and administers it on behalf of the other co-financier. As the Charter of the co-financier AIIB requires universal procurement, this procurement is open to all bidders and no nationality restrictions apply. However, firms shall be excluded if by an act of compliance with a decision of the United Nations Security Council taken under Chapter VII of the Charter of the United Nations, the Purchaser's country prohibits any import of goods or contracting of works or services from that country or any payments to persons or entities in that country. In other aspects, procurement shall be carried out in accordance with ADB's procurement guidelines and procedures.

3. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (the "Employer") invites sealed bids from eligible Bidders for the construction and completion of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325. This civil works contract includes the construction of a 2-lane motorway of 14 m width, including bridges and tunnels ("the Works").

4. **International competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage Two Envelope bidding procedure and is open to all Bidders without nationality restrictions.

5. Eligible bidders, a single entity or joint venture, must meet the following qualification criteria on a pass/fail basis:

Financial Situation: The Bidder's net worth should be at least positive. Its annual average construction turnover for the last 5 five year must not be less than $ 130 million and the bidders should demonstrate that it has access to financial resources of not less than $ 21 million to support the cash flow requirement for this project and all its current contract commitments, if there is any.

Construction Experience: Participation as contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) contracts similar to the proposed works within the last five (5) years, with a value of at least US$133 million that have been successfully or are substantially completed, and

Construction experience in the following key activities:

i) Construction of bridges with a total combined bridge deck area of at least 50,000 m2 within last five years;
ii) Construction of tunnels with at least a total combined tunnel length of 3,000 m (at least two lanes) within last five years

6. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

To Mr. Irakli Khergiani
Adress: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 37 66 03
Email: info@georoad.ge

7. To purchase the bidding documents in English, eligible bidders should

- write to address above requesting the Bidding Documents for *Construction of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325*
- pay a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD to:

<u>For GEL transfer:</u>
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

<u>For USD transfer:</u>
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Construction of Batumi Bypass Road, Section km -1+000 – 13+325.

8. Deliver your bid
- to the address above
- **on or before the deadline: 19 December 2016 17:00 Hours (Local Time)**
- together with a Bid Security as described in the Bidding Document

Bids will be opened immediately after the deadline for bid submission in the presence of Bidders' representatives who choose to attend.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 22 ოქტომბრის (№197) ნომერში გამოქვეყნებულ საარბიტრაჟო დადგენილებებში – „საქმე №231 და №232“-ში ნაცვლად „საარბიტრაჟო მოსარჩელე შპს „ნოვა კრედიტისა“ უნდა იკითხებოდეს შპს „ახალი კრედიტი“.

საქმე №231-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს ,,საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **გიგა ლომაია, ლია გოგიშვილი, მაია კუმელაშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2016 წლის 8 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის გიგა ლომაიას, ლია გოგიშვილისა და მაია კუმელაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 4 აგვისტოს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე გიგა ლომაიამ ისესხა 1800 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 3 ოქტომბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 4 აგვისტოს დადებული №15138 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ლია გოგიშვილმა და მაია კუმელაშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე გიგა ლომაიას მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე გიგა ლომაიაზე, ლია გოგიშვილზე და მაია კუმელაშვილზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად მოპასუხე ლია გოგიშვილს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლია გოგიშვილს ოთხჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, ისე მის საკუთრებაში არსებულ მისამართზე თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ არც ერთ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიგა ლომაიას სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ისე მის მიერ კურიერთან საუბრისას განცხადებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილის მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლია გოგიშვილსა (პ/ნ 02001019741) და გიგა ლომაიას (პ/ნ 58001007320) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს, რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხეებს გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს 12:30 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით, გიგა ლომაიას, ლია გოგიშვილისა და მაია კუმელაშვილის მიმართ.

5. გიგა ლომაიასა და ლია გოგიშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №232-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს ,,საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ახალი კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლია გოგიშვილი, გიგა ლომაია, თეა ბუკია**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2016 წლის 9 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ლია გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 30 მაისს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე ლია გოგიშვილმა ისესხა 1300 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 27 სექტემბერი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დარჩენილი გადაუხდელი თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 30 მაისს დადებული №11963 სესხისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, გიგა ლომაიამ და თეა ბუკიამ აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე ლია გოგიშვილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ლია გოგიშვილზე, გიგა ლომაიაზე და თეა ბუკიაზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ლია გოგიშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ არც ერთ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიგა ლომაიას სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ისე მის მიერ კურიერთან საუბრისას განცხადებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი აღნიშნულ მისამართებზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თეა ბუკიას სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ლია გოგიშვილს (პ/ნ 02001019741), გიგა ლომაიასა (პ/ნ 58001007320) და თეა ბუკიას (პ/ნ 42001013280) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას, რომ მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხეებს ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს 11:00 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ლია გოგიშვილის, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას მიმართ.

5. ლია გოგიშვილს, გიგა ლომაიასა და თეა ბუკიას ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ საბოტაჟი?

თითქოს ამას უცდიდნენო

დაიწყო საკალათბურთო სუპერლიგის ახალი სეზონი და პირველმა „იაღლიშმაც“ არ დაახანა.

„კაქტუსისა“ და „მგზავრების“ შეხვედრის წინ მსაჯმა-ინფორმატორმა გუნდების შემადგენლობები გამოაცხადა, სასტარტო ხუთეულები ახალი სპორტის სასახლის სარბიელის ცენტრში გამწკრივდნენ და მაშინ, როცა ბურთის სადავო გდება უნდა შესრულებულიყო, თამაში ჩაიშალა.

როგორც გაირკვა, ძაღლის თავი მატჩების მომსახურე სამდივნოს წარმომადგენელთათვის ხელფასის სამთვიან დაგვიანებაში ყოფილა დამარხული და გოგონებმაც პროტესტის გამოსახატავად საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე პირდაპირი ტელერეპორტაჟის დაწყების მომენტი შეარჩიეს, დიქტორმა კი მაყურებელს ამცნო, თითქოს არშემდგარი ბრძოლის მიზეზი ტექნიკური პრობლემა ყოფილიყოს.

ბუნებრივია, საფუძვლიანი პრეტენზია, დიახაც, უნდა გამოითქვას, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, როგორ გააკეთებ ამას? თანაც, ტრიბუნაზე მაშინვე ივარაუდეს, ყველაფერი იმ დღეს მარნეულსა და ზუგდიდში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურს ხომ არ უკავშირდება და კალათბურთის ფედერაციაში მოკალათებულ ნაციონალთა მსტოვრების მიერ განხორციელებულ საბოტაჟთან ხომ არ გვაქვს საქმეო?

სხვათა შორის, კლუბებს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განსაზღვრული თანხა თურმე უკვე ჩაურიცხავთ სკფ-ს ანგარიშზე. თუ იგი დანიშნულებისამებრ არ დაიხარჯება, რატომღა შეიცვალა ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი ალეკო პეტრიაშვილი, რომელიც უშუალოდ კურატორობს სუპერლიგას?

დაბოლოს: იმ დროს დარბაზში კალათბურთის ფედერაციის არც პრეზიდენტი იმყოფებოდა და არც ვიცე-პრეზიდენტთაგან რომელიმე.

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

„ოლ ბლექსმა“ რეკორდი დაამხო

ახალი ზელანდიის ნაკრებმა „იდენ პარკზე“ ავსტრალია 37:10 დაამარცხა და გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ზედიზედ 18 გამარჯვება იზეიმა.

აქამდე რეკორდსმენები ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა იყვნენ, რომელთა ანგარიშზე მიჯრით 17-17 მოგება იყო.

ავსტრალიასთან „ოლ ბლექსმა“ 6 ლელო გაიტანა, თუმცა, ანგარიშში სხვაობა თამაშის ხარისხს არ შეესაბამება და მათ წარმატებაში ავსტრალიელთა შეცდომებთან ერთად მსაჯის ხელიც ურევია. „უოლაბებს“ ბევრი შანსი არ ჰქონიათ, მაგრამ ბურთს კარგად აკონტროლებდნენ და ერთი 100%-იანი ლელო რეფერიმ უსამართლოდ ჩამოართვა, ხოლო მერე ისეთი ჯარიმა გაუფუჭდათ, თავადაც რომ ვერ წარმოიდგენდნენ და თანაც ეს ყველაფერი ანგარიშის გაზრდამდე ხდებოდა.

ჯულიან სავეამ ამ თამაშში დუბლი შეასრულა, ჯამში 45 სანაკრებო ლელო მოუგროვდა და ზელანდიელ მელელოვეთა დავაში მე-4 ადგილამდე დაწინაურდა. იმის გათვალისწინებით, რომ სავეა ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, 45 ლელო 49 შეხვედრაში დაამიწა და საუკეთესო ზელანდიელი მელელოვეს ანგარიშზე უკვე 49 ლელოა, სულ მალე მას ქვეყანაში პირველობის შანსი ექნება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ალანამ მთელი ამერიკა მოხიბლა

26 წლის ამერიკელმა სერფერმა ქალმა ალანა ბლანჩარდმა სამოდელო კარიერა ისე კოხტად და დაშხოშიანად მოიწყო, რომ თუკი სადმე ბულვარული მედიის სუსია, ყველგან მისი თამამი და მადისაღმძვრელი ფოტოებია გამოჭიმული და სიმართლე რომ ვთქვათ, ალანა ალალად იმსახურებს ამ წარმატებას.

ცოტა ხნის წინათ ეს გოგონა მთელს შეერთებულ შტატებში სპორტსმენ ქალთა შორის ყველაზე სექსუალურადაც კი დაასახელეს და ამან ალანას პოპულარობა კიდევ უფრო მეტად გაზარდა, რადგან ერთია, როდესაც შენ მოგწონს და გიზიდავს ქალი და მეორეა, როდესაც ამას მთელი ამერიკა გეჩიჩინება.

ალანა ბლანჩარდმა გასულ წელს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ბევრი იძახდა, მისი კარიერა საბოლოოდ დასამარდაო, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერი კონკიას ზღაპარივით ლამაზად დასრულდა და ამ ზაფხულს ეს მშვენიერი ასული კვლავ შეერკინა ოკეანის ტალღებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ როდემდე?

მართლაც რომ სამარცხვინოა!

როგორც მოგახსენებათ, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო — თბილისის სპორტის სასახლე ლეგენდარული ქართველი ფალავნის გივი კარტოზიას სახელს ატარებს და მისი ბიუსტი ნაგებობის შესასვლელს ამშვენებს. სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება აღმაშფოთებელი ტრადიცია და ტელერეპორტაჟების დროს კომენტატორები ჯიუტად უკეთებენ იგნორირებას სასიქადულო მამულიშვილის ხსენებას. როდემდე?

საპირისპირო სურათია ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის შემთხვევაში, საიდანაც ნებისმიერი ტრანსლაციის დაწყების წინ ეთერში ამაყად გაისმის „მტკვრისპირელ გარინჩად“ შერაცხული ჩვენი სწორუპოვარი მარცხენა გარემარბის სახელი.

მასვე უკავშირდება შარშანდელი კურიოზული ფაქტიც. კერძოდ, მას შემდეგ, რაც „ბარსელონამ“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე კონტინენტის სუპერთასი მოიპოვა, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ლეო მესიმ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგის კითხვას, სმენია თუ არა რაიმე მესხის თაობაზე, უარყოფითი პასუხი გასცა. კიდევ კარგი, კატალონიელი გულშემატკივრები „ფეხბურთის კარუზოს“ ვინაობით დაინტერესდნენ და სტადიონის შესასვლელში აღმართულ მის ძეგლთან უამრავი ფოტოსურათი გადაიღეს.





◎ ტრადიცია

სანჩესის სეზონი

2016 წლის ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი რენატუ სანჩესი გახდა. Golden Boy — სწორედ ამ სახელწოდების გამოკითხვა მოიგო „ბაიერნის“ ნიჭიერმა ნახევარმცველმა და მას 2003 წლიდან მოყოლებული იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი“ ატარებს.

19 წლის ლუზიტანელმა საბოლოოდ ფრანგ კინგსლი კომანსა და ინგლისელ მარკუს რეშფორდს აჯობა.

რენატუ სანჩესს მართლაც წარმატებული წელი ჰქონდა: ლისაბონის „ბენფიკას“ მთავარ გუნდში ფეხი მყარად მოიკიდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ხოლო ზაფხულში პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიგო, რაშიც მისი წვლილი საკმაოდ დიდი გახლდათ. ამის შემდეგ 19 წლის რენატუ 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიუნხენის „ბაიერნში“ გადაბარგდა.

აქვე წარმოგიდგენთ ყველა გამარჯვებულს 2003 წლიდან:

2003 — რაფაელ ვან დერ ვაარტი, 2004 — უეინ რუნი, 2005 — ლიონელ მესი, 2006 — სესკ ფაბრეგასი, 2007 — სერხიო აგუერო, 2008 — ანდერსონი, 2009 — ალეშანდრე პატო, 2010 — მარიო ბალოტელი, 2011 — მარიო გიოტცე, 2012 — ისკო, 2013 — პოლ პოგბა, 2014 — რაჰიმ სტერლინგი, 2015 — ანტონი მარსიალი.

გიორგი ზოთაძე

◎ ისტორიის სპირალები

უძრავ-მოძრავი დასავლეთ-აღმოსავლეთი

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად, რომელიც 1093 წელს მოეწყო, ევროპის რამდენიმე მონარქის გაერთიანებულმა ჯარმა პალესტინაში იერუსალიმი აიღო, რომელიც საუკუნის მანძილზე ქრისტიანულ ქალაქად იქცა. მთლიანად კი ჯვაროსანთა სახელმწიფოებმა აღმოსავლეთში თითქმის ორი საუკუნე იარსებეს.

დღეს ვითარება, არსებითად, იგივეა, ოღონდ საპირისპირო ნიშნით. ავიღოთ, თუნდაც, გეოგრაფია — იგი, არსებითად, ისეთივეა, როგორიც ცხრა საუკუნის წინათ იყო. შეცვლილია მხოლოდ მიმართულება: მაშინ ჯვაროსანთა ლაშქარი ევროპიდან ახლო აღმოსავლეთში, ძირითადად, ბალკანეთის, თურქეთისა და სირიის გავლით ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში ასე იყო რვიდან პირველი სამი ლაშქრობისას.

მეორე, საზღვაო გზას, ადრე შუა საუკუნეებში, 1202 წლიდან მოყოლებული იყენებდნენ. იგი მძლავრი სავაჭრო ფლოტის მქონე რესპუბლიკებში — გენუასა და ვენეციაში იწყებოდა, რომლებსაც მრავალი დიდი ტევადობის გემი ჰქონდა. ეს გზა, პირველი, სახმელეთო, ამჟამადაც მოქმედებს ასევე საპირისპირო მიმართულებით, ოღონდ სირიიდან იტალიისა და საბერძნეთის სანაპიროსკენ. ძველად ხალხის გადაყვანაზე ხელს ითბობდნენ გაქნილი იტალიელი ვაჭრები, ამჟამად — არაბული მაფია. დღევანდელი ფასები კაცზე 10-12 ათას დოლარამდე ადის. შუა საუკუნეებში კი რაინდებიც და უბრალო გლეხებიც, წმინდა მიწაზე მისაღწევად მთელ ქონებას თმობდნენ.

ახლახან ახალი მარშრუტებიც „გაიხსნა“ — მაგალითად, ესპანეთში მაროკოსა და კანარის კუნძულების გავლით. 900 წლის წინათ არც სირია-რუსეთი-სკანდინავიის მარშრუტი არ იყო, თუმცა ამჟამად ისიც მოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ ხმელთაშუა ზღვაში ცოტა ხნის წინათ დამხრჩვალი სირიელი ბიჭუნა უკვე 21-ე საუკუნის ისტორიაში შევიდა, მაგრამ უწინ გაცილებით საშინელი ამბებიც ხდებოდა. მაგალითად, მე-13 საუკუნეში, 1212 წელს, ეგრეთ წოდებული „ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობის“ დროს, შვიდ ხომალდს, რომელთაგან თითოეულზე 700 მცირეწლოვანი ჯვაროსანი იმყოფებოდა, გზა აერია და ალჟირელ მონებით მოვაჭრეებს ჩაუვარდათ ხელში...

განვლილი ათასზე მეტი წლის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა, მათ შორის არც კაცთა მოდგმის ზნე-ჩვეულებანი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ უკეთესი ბედის ძიებაში ხალხი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა, ახლა პირიქით ხდება. მიზეზი კი ერთია: მაშინ ევროპაში მიწა გლეხებს არ ჰყოფნიდა, ფეოდალებს კი — გლეხები. ამჟამად ჭარბი მოსახლეობა აღმოსავლეთშია.

ცხრაასი წლის წინათ, ჯვაროსნების მმართველობის დროს, იერუსალიმი მრავალი კულტურის შეხების ქალაქი იყო, რომელშიც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ფრანგი კათოლიკები, სირიელი აღმოსავლელი ქრისტიანები, ეგვიპტელი კოპტები, ებრაელები და მუსლიმანები. იმ დროს, ყველა მეჩეთი ქრისტიანულ ტაძრად გადააქციეს, მათ შორის ტამპლიერთა ორდენის შტაბბინად — მუსლიმანთა სიწმინდეთა რიგში მესამე ადგილზე მყოფი ცნობილი ალ-აქსა, რომელიც დღესდღეობითაც ამშვენებს ძველი იერუსალიმის ცენტრს. ხოლო როცა 1187 წელს მუსლიმანებმა იერუსალიმი უკან დაიბრუნეს, ალ-აქსა შიგნიდან და გარედან ვარდის წყლით განბანეს...

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

„ოაზისი“ - ჩაქვის ოაზისად იქცა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი დაბა ჩაქვში სასტუმრო „ოაზისის“ მიმდებარედ გზის რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი ითვალისწინებს სასტუმრო „ოაზისის“ ტერიტორიის ირგვლივ საავტომობილო გზაზე ბეტონის ფილების დაგებას. ასევე, მოპირკეთდება ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სამხედრო ნაწილის ტერიტორია. მოეწყობა სანიაღვრე არხები და კანალიზაცია.

სამუშაოების დასრულების შედეგად საკურორტო ზონაში ტურისტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 870 298 ლარია. მუნიციპალური განვითარების ფონდი სამუშაოების დასრულებას 2017 წლის იანვარში გეგმავს.

ხულოში ახალი სამკერვალო ფაბრიკა ამუშავდება

ხულოში სამკერვალო ფაბრიკა დაიწყებს ფუნქციონირებას. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გამარჯვებულ კანდიდატთან ანზორ ბოლქვაძესთან ერთად საწარმოს ეწვია და თანამშრომლებს გაესაუბრა.

„მივესალმები მსგავს ინიციატივას, რომელიც ჩვენს მაჟორიტარ კანდიდატს — ანზორ ბოლქვაძეს ეკუთვნის, რომლის დახმარებით დღეს აქ ინვესტიცია ხორციელდება, უკვე დასაქმებულია ადგილობრივი კადრები, მომავალში კი 200-მდე ხულოს მკვიდრი დასაქმდება. საწარმო სარგებლობს მთის კანონის იმ შეღავათით, რომელიც მთიან რეგიონში ბიზნესის ხელშეწყობას ემსახურება და ეს სამკერვალო არის ნათელი მაგალითი, თუ რამდენად გამართლებული და წარმატებულია მთის კანონი, რომ იგი ნამდვილად ემსახურება მთაში მოსახლეობის გამაგრებას, მთის მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას“ — განაცხადა ზურაბ პატარაძემ სამკერვალოს თანამშრომლებთან და ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრისას.

ამ ეტაპზე საწარმოში 60-მდე ადგილობრივია დასაქმებული და სამომავლოდ 200-მდე ადამიანი დასაქმდება.

ფაბრიკის შენობის ფასადისა და ინტერიერის სამუშაოები უკვე დასრულებულია, საწარმოში შემოტანილია 60-მდე სამკერვალო დანადგარი. ინვესტიცია თურქულ-ქართულია და საწარმოს გამართვისა და ფუნქციონირების საკითხში ჩართულია რეგიონში მყოფი ნორვეგიელი ინვესტორებიც.

მნიშვნელოვანია, რომ ხულოში უკვე რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს, ტექსტილის მიმართულებით პირველი საწარმო სულ მალე ოფიციალურად გაიხსნება.

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთის საზოგადოებას გამოაკლდა დამსახურებული პიროვნება, გალის რაიონის ხელმძღვანელი რგოლის ღირსეული წარმომადგენელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მზიურის მეციტრუსეების საზოგადოებრივი მეურნეობის ყოფილი დირექტორი, სახალხო კონტროლის გალის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, 1995 წლიდან გალის რაიონის გამგებელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის პასუხისმგებელი მუშაკი, 1998 წლის მაისში გალის რაიონში დატრიალებული მორიგი ტრაგედიის შედეგად ათასობით დევნილ თანამემამულეთა ახალი ნაკადის მიღება-განთავსების და სოციალური პრობლემების მოგვარების სახელმწიფო კომისიის წევრი და კოორდინატორი აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურებიდან, ღირსების ორდენის კავალერი, ჭეშმარიტი პატრიოტი, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის, პასუხისმგებლობით და პატიოსნებით გამორჩეული, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესების აქტიური მონაწილე

მურმან ჭედია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა სამძიმარს უცხადებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, ინსტიტუტის დირექტორის ყოფილ მოადგილეს, პროფესორ თემურ ბერიძეს დედის

ლილი ბერიძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

ს.ს. „საქსაშენმეცნიერება“-ს ადმინისტრაცია იწვევს საზოგადოების გარდაცვლილი აქციონერების სავარაუდო მემკვიდრეებს კუთვნილი აქციების კანონისმიერი მემკვიდრეობის გადაფორმების მიზნით.

მემკვიდრეებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ სააქციო საზოგადოების დირექციაში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მისამართი. კალე ქუთათელაძის ქ. №8 (ყოფილი ალ. ყაზბეგის ჩიხი 32/34).

ს.ს. „საქსაშენმეცნიერების“ დირექცია

◎ გურმანებისთვის

მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკლერი ბელგიაში მოამზადეს და ის 1500 ევრო დაჯდა

ბელგიის ქალაქ ვერვიეს კონდიტერებმა შოკოლადის ეკლერი მოამზადეს, რომლის სიგრძეც 676,6 მ-ია. შესაბამისად, აღნიშნული ეკლერი მსოფლიოში ყველაზე დიდია, რაც კი ოდესმე გამოუცხვიათ.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკლერის მოსამზადებლად 20 კონდიტერი 3 საათის განმავლობაში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ რეკორდი ნოტარიალურადაც დაამოწმეს, ის გინესების წიგნში მაიც არ შევა, რადგანაც ორგანიზატორებს შესაბამისი განაცხადი არ გაუკეთებიათ.

ეკლერის მომზადებას 70 კგ კარაქი, 2 ათასი კვერცხი, 50 კგ ფქვილი და 300 ლ რძე დასჭირდა.



ყველა ეს იგრედიენტი კი 1,5 ათასი ევროს ღირებულების იყო.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 6 ათასი ნაჭრის გაყიდვისგან შემოსული შემოსავალი მთლიანად საქველმოქმედო მიზნებისთვის გადაირიცხება.

ქართულ ცეკვებს უკვე თურქებიც გვეცილებიან

მართალია, ქართველი მოცეკვავე ვაჟების რაინდული შემართებისა და მონარნარე მანდილოსნების შემხედვარე ემიგრაციაში მყოფ გრიგოლ რობაქიძეს აღტაცებით აღმოხდა, რომ სხვა ერი ასე კარგად ვერ შეასრულებდა ქართულ ცეკვებს, როგორც ქართველები, რადგან საამისოდ „რასა არ ეყოფოდა“ („ქართული გენია როკვით გნფენილი“), მაგრამ ქართველებს ამ ისტორიულ მონაპოვარშიც გვეცილებიან.

როგორც აღმოჩნდა, ჩვენს სამეზობლოში თანდათან ფართოვდება იმ ხალხების ჩამონათვალი, რომლებიც ქართველი ერის მიერ შექმნილ ამ კულტურულ ფასეულობასაც ეპატრონებიან და არად დაგიდევენ, რომ საამისოდ „რასა არ ეყოფათ“.

ქართველი ქორეოგრაფები უკვე 15 წელია, აცხადებენ, რომ თურქები ქართულ ცეკვებს საკუთარ ქორეოგრაფიად ასაღებენ და ჩვენი ქორეოგრაფიის ელემენტები თავის კულტურაში გადააქვთ, ეს მაშინ, როცა თურქებს სასიმღერო ტალანტი აქვთ, მაგრამ ღირებული ქორეოგრაფია საერთოდ არ გააჩნიათ.



თურქების მიერ ქართული ცეკვებით დაინტერესება მას შემდეგ გაცხოველდა, რაც ერდოღანმა შესაბამისი ანსამბლი შექმნა და ქართველი მოცეკვავეები მაღალი ხელფასების ხიბლით მიიწვია.

ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ჭკუასელი** ადასტურებს, რომ ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა თურქები თავის ქორეოგრაფიად აცხადებენ ქართულ ცეკვებს და ამაში ლომის წილი სწორედ ქართველებს მიუძღვით, რადგან თავიდან ბოლომდე ასწავლიან თურქებს ილეთებს. ასწავლიან იმასაც, როგორ უნდა იმოძრაონ, თანაც, ჩვენს ილეთებს ამახინჯებენ, მაგრამ ამას ყველა ხომ ვერ მიხვდება?!

„ახლაც ენა მებმის, ისე ვარ გაგიჟებული ამაზე. ჩემგან დაახლოებით 30 კაცი მაინცაა წასული თურქეთში და იქ ასწავლიან, თანაც, ქართული კულტურის გაყიდვით ტრაბახობენ. ამას წინათ ტელევიზიითაც იყო გადაცემა ამის შესახებ. ჩვენ პატრონი არ გვყავს, ამას სახელმწიფო უნდა იცავდეს, შესაბამისი კანონი უნდა იყოს შემუშავებული. მახსოვს, ადრე შევარდნაძეს ვუთხარი, კულტურასთან დაკავშირებით კანონები შევიმუშავოთ-მეთქი, მიპასუხა, ვიკითხავ, მაგრამ ამის ანალოგი არ არის მსოფლიოშიო. მე ვუთხარი, ქართული სიმღერაც უანალოგოა, ქართული ცეკვაც უანალოგოა და უანალოგოს უანალოგო კანონები უნდა შევუქმნათ-მეთქი. გაეცინა — ასე დაღუპულია საქმეო? ვუთხარი, — არ არის დაღუპული, მაგალითად, სვანეთში კარგად მღერიან-მეთქი. — რა კარგია, რატომ მღერიან კარგად სვანეთშიო?! — იმიტომ, რომ იქ მატარებელი არ ასულა-მეთქი. მითხრა, — ღმერთმა აგაშენოს, კიდევ დიდხანს იმღერებენ სვანეთში კარგადო... ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩვენ ხმალამოღებული ბრძოლა გვმართებს, რომ სულ ცოტა ხანში ქართველებს ქართულ სიმღერებზე არ გვითხრან, ნუ მღერიხართ ჩვენს სიმღერებსო. მეზობელი რომ გაგილაწუნებს ყურის ძირში, შენც თუ არ გაულაწუნე, ინვალიდი ეგონები“, — აღნიშნა ჯემალ ჭკუასელმა და განმარტა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანს. ქართველ ერს თვითონ უნდა უნდოდეს თავისი სულიერების შენარჩუნება და ამას მთავრობისა და სპეციალისტების სურვილიც უნდა ემთხვეოდეს.

ჯემალ ჭკუასელის მსგავსად, ქართული ცეკვების მითვისებით აღშფოთებულია ნაციონალური ბალეტის თეატრ „მეტეხის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი **გელოდი ფოცხიშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ თურქების მიერ ქართული ქორეოგრაფიის გადამღერება თუნდაც იმ ფაქტშიც გამოსჭვივის, რომ თურქებმა თავიანთ მოცეკვავეებს ჩოხები ჩააცვეს. მისი თქმით, ერდოღანის მიერ ქართველი მოცეკვავეების მასობრივად მიწვევის შემდეგ ბევრ ქართულ ანსამბლს პრობლემა შეექმნა და დაშლის პირას აღმოჩნდა.

„მსგავსი ტენდენცია ჯერ კიდევ დაღესტანში გაჩნდა საბჭოთა პერიოდში. ქართული პროგრამები ოსებმაც მიითვისეს, თუმცა ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოსებს ცეკვებს დღემდე ქართველი ქორეოგრაფები უდგამენ“, — აცხადებს ქორეოგრაფი.

აღნიშნულთან დაკავშირებით For.ge თურქეთში მყოფ მოცეკვავეებსაც ესაუბრა. ისინი აცხადებენ, რომ თურქები თავიანთი მუსიკის ფონზე ცდილობენ ქართული ცეკვების ილეთების გამოყენებას, თუმცა ეს უხარისხოდ გამოსდით. ხშირია შემთხვევა, როცა თურქეთში ზურნის თანხლებით გაიგონებთ „მოხევის ქალო თინაოს“ მელოდიას და ეს ყველაფერი თურქული კულტურის მიღწევად წარმოჩინდება, რომელიც ქართველებმა თურმე მაშინ აითვისეს, როცა საუკუნეების განმავლობაში თურქული უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მანანა ნოზაძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ანეკდოტები

დიალოგი დრამატულ თეატრში:

— რა არის, რა უბედურებაა, მსგავსი უნიჭო სპექტაკლი ცხოვრებაში არ მინახავს!.. ვინ დადგა, ნეტავ, ეს საშინელება?

— მე დავდგი, ქალბატონო.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ, ცხადია, ვერაფერს იზამდით, უბრალოდ პიესის ავტორია უნიჭობის განსახიერება. ჰო, მართლა, ერთი მისი გვარი შემახსენეთ!..

— შექსპირი, ქალბატონო, შექს-პი-რი!

* * *

— ეხ ძმაო, ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც არც არანაირი პრობლემა აქვთ და, ქვეყანაზე არც არაფერი ადარდებთ?!

— კი, ნამდვილად არიან.

— ჰოდა, როგორ უნდა გამოიცნო ისინი?

— როგორ, ბატონო და ყველას ფეხის ცერა თითზე თავისი გვარ-სახელიანი წარწერა აქვს მიბმული...

* * *

ტურისტების ჯგუფი კლდეზე მიცოცხავს, უცბად ერთი ხრამში გადავარდება. დანარჩენები უყვირიან:

— ცოცხალი ხარ, ჭიჭიკია?

— ცოცხალი ვარ, ცოცხალი .

— რამე ხომ არ მეიტეხე, ბუჯო?

— არა, არა!

— ჰოდა, აპა დაიწყე ამოსვლა და ჩვენ მეგეშველებით პაწას!

— ე, ბიჭო, მაცადეთ, ჯერ ბოლომდე ჩევიდე!..

* * *

უფროსი იბარებს ქვეშევრდომს:

— თქვენ სამსახურიდან დათხოვილი ხართ!

— დათხოვილი ვარ?! დიდება შენს სახელს, უფალო! მე კი აქამდე რატომღაც მეგონა, რომ მონებს ყიდდნენ!

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემიის გამარჯვებულები გამოავლინა

გამარჯვებულები 3 ნომინაციაში გამოვლინდნენ: საუკეთესო ფუნდამენტური კვლევა, საუკეთესო გამოყენებითი კვლევა და საუკეთესო ახალგზარდული სამეცნიერო ნაშრომი. გამარჯვებულები შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო ცერემონიალზე ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

არტემ ერქომაიშვილი უწყვეტი ძველი ქართული სამგალობლო ტრადიციის ბოლო წარმომადგენელი საზოგადო მოღვაწე, ლოტბარი, გურული სიმღერის ერთ-ერთი გამორჩეული მცოდნე და უკანასკნელი სრული მგალობელი იყო, რომელმაც ზეპირად იცოდა ათასობით საგალობელი.

ფონდი „ქართული გალობა“ 2012 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს ქართული გალობა-სიმღერისა და ტრადიციული ხელოვნების სხვა დარგების თანადგომას. არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემიაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3679; ევრო - 2.5796;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8948;
100 რუბლი - 3.7977; თურქული ლირა - 0.7700;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4493;
1000 სომხური დრამი - 4.9819.

ამინდი 25 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +7
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +13
თბილისი:	ღამე +5,	დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE